სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 26 დეკემბერი 2005 №297 (2620) ფასი 50 თეთრი

2006 წლის 1 თებერვლიდან: ქართული ფეხბურთის ტოპოლოგია

ალბერტ იფერიძეს ფოტო

23! ფაჩულიას პროგრესია

„ის გუნდის ღუზასავითაა და არც ლიგის აღიარებულ ცენტრებს ჩამორჩება ბევრით. თუ მის პროგრესს გავითვალისწინებთ, ფაჩულია ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზის მოგების ერთ-ერთი კანდიდატია“ — წერს ამერიკელი ჟურნალისტი სეკუ სმიტი, რომელიც ხოტბას არ აკლებს ქართველ კალათბურთელს. სმიტს მხარს უბამენ მისი კოლეგა ჯონ კუპერი და ბევრი სხვაც, რომელთა გამონათქვამებს მეთოთხმეტე გვერდზე წაიკითხავთ, თავად ზაზა ფაჩულია კი მათ ქებას სულ უფრო და უფრო ამართლებს. ასე იყო პარასკევსაც, როცა მან „ფილადელფიასთან“ შეხვედრაში თავისი საუკეთესო მატჩი ჩაატარა და 23 ქულა მოაგროვა, რაც ორით მეტია მის ამასწინდელ შედეგზე.

საახალწლო ტოპი

როგორც იქნა, დიდი ჭაპანწყვეტის, ძალათა მობილიზების, დავა-კამათის, გაუგებარი დუმილის, ფინანსების მობილიზების და სხვა დიდი და პატარა ინტრიგისა და ამბის შემდეგ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა კლაუს ტომპიოლერი.

ამგვარი დასაწყისი გრძელ და შთამბეჭდავ სტატიას გულისხმობს, თუმცა ეს სრულიად აღარ არის საჭირო, ვინაიდან საქმე გამოვიდა და უბრალოდ შეიძლება ითქვას, რაც გამოვიდა — კარგია!

აწი რაც მოხდება, ასჯერ უფრო საინტერესო უნდა იყოს იმაზე, რაც აქამდე მომხდარა.

ახალი მწვრთნელი გვარიანად ძვირი დაჯდა. საქართველოს პირობაზე სრულიად გაუგონარი თანხა. ოლონდაც, როგორც ერთმა სტიუარდესამ უთხრა ვალიკო მიზანდარს: „კარგი ყველაფერი ძვირია“. ვალიკო მაშინ გაბრაზდა, როგორც ახლა ჩვენში ბრაზობენ ზოგნი, ვინაიდან ეს ალბათ ქართული ამბავია. მაგრამ ჩვენ მაინც იმედით ვართ სავსე, რომ კაცი, რომელსაც ბლომად ფული მიაქვს, ნამდვილა კაცია და საქმესაც ნამდვილს მოგიხერხებს.

ეს არის და ეს.

ნამდვილი გვჭირდებოდა და ნამდვილი ვიშოვნეთ.

ასეთი რამ კი ხშირად არ მომხდარა ჩვენს ყოფნაში.

თუკი ამ ნამდვილს იმასაც დავუმატებთ, რომ ზღაპრების დრო კარგა ხანია წასულია და ნამდვილ კაცს ზღაპარი არ უნდა მოვთხოვოთ, მაშინ ჩვენი საქმე ბევრად უკეთ იქნება.

მოკლედ, აგერ, ახალი ნელი და აგერ, ახალი მწვრთნელი.

ირაკლი გამყრელიძე

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

ტოპმიოლერმა დიდ ფულს პატარა საქართველო არჩია

მორჩა!

გუშინ ოფიციალურად გაცხადდა, რომ კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მწვრთნელია!

ბოლოს და ბოლოს, ნაკრების თხუთმეტწლიანი არსებობის მანძილზე საქართველოში ტოპ-მწვრთნელი პირველად ჩამოდის. ჩამოდის დიდი იმედებით, ხელებდაკაპიწებული, ახალ ეტაპზე ფეხშედგმული და, შეიძლება ითქვას, საკუთარი თავისთვის უფრო მეტის დამტკიცების სურვილით სავსე.

ეს ამბავი გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გვითხრა და ბევრ მიკიბ-მოკიბვას, სჯობს, მის ნაუბარს გავეცნოთ...

— გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კლაუს ტოპმიოლერს შორის გაფორმდა ეგრეთ წოდებული განზრახულობათა ხელშეკრულება, რომელიც ჩვენს მომავალ თანამშრომლობას ეხება. ფაქტობრივად შევთანხმდით მომავალი თანამშრომლობის დეტალებზე და ამის საფუძველზე სრული უფლება მაქვს განვაცხადო: საქართველოს ნაკრებს კლაუს ტოპმიოლერი უმწვრთნელებს!

— მართალია, განზრახულობათა ხელშეკრულება გავაფორმეთ, მაგრამ შრომითი ხელშეკრულების დეტალები ბოლომდე ბეჭედდასმული ჯერ არ არის. ევროპაში ახლა შობაა და ტოპმიოლერიც ოჯახთან ერთად წინასწარ დაგეგმილ მოგზაურობაშია. მოგეხსენებათ, იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში წავიდა დასასვენებლად, რის გამოც მცირე დეტალებიღა დარჩა გასარკვევი. უფრო ზუსტად, რამდენიმე საკითხი იურიდიულად შესწავლას და დაზუსტებას საჭიროებს.

— შრომითი ხელშეკრულების, ანუ კონტრაქტის სამუშაო ვარიანტი ტოპმიოლერს უკვე გავუგზავნეთ და, როგორც გითხარით, შეთანხმებაც მიღწეულია. მან იცის ანაზღაურების, კონტრაქტის ხანგრძლივობის თუ ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ და მიხარია, რომ ყველაფერი კარგად დასრულდა.

— 8-დან 10 იანვრამდე ტოპმიოლერი თბილისში ჩამოვა და სწორედ მაშინ მოვაწყობთ კონტრაქტზე ხელმოწერის საზეიმო-საჯარო ცერემონიალს.

— ტოპმიოლერს გერმანიიდან ორი თანაშემწე ჩამოჰყავს. ისინი ნაკრების სავარჯიშო პროცესშიც მიიღებენ მონაწილეობას და მთლიანად სანაკრებო ფეხბურთსაც გაუწევენ კურირებას. ჩაფიქრებული გვაქვს მათი სამწვრთნელო კურსებში ჩართვაც, რაც ჩვენი მწვრთნელებისთვის ძალიან სასარგებლო უნდა იყოს.

— ტოპმიოლერი ნაკრებში მუშაობას ოფიციალურად 1 თებერვალს დაიწყებს. კონტრაქტი კი 2007 წლის 31 დეკემბერს დასრულდება. თუ ნაკრები შესარჩევი ჯგუფიდან გავა, კონტრაქტი ავტომატურად გახანგრძლივდება ორი წლით. მართივად რომ ვთქვა, კონტრაქტი 2+2-წლიანია.

— ანაზღაურების თაობაზე კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ ვიტყვი, ახლა ამ თემაზე ლაპარაკი არაკორექტულია.

— ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, რომ ამ დონის სპეციალისტი დაგვთანხმდა. მან ფინანსურად გაცილებით მიმზიდველ წინადადებებზე თქვა უარი და საქართველოში წამოვიდა, რაც სულაც არაა უმნიშვნელო ამბავი. ამ ცოტა ხნის წინ მიხაელ ბალაკის აგენტ მიხაელ ბეკერს ველაპარაკე და გაკვირვებული იყო, ტოპმიოლერს სერიოზული ვარიანტები ჰქონდა და თქვენთან როგორ წამოვიდაო...

— გაგიმხელთ იმასაც, რომ ტოპმიოლერმა სამი-ოთხი დღის წინ გვითხრა საბოლოო პასუხი, მაგრამ გვთხოვა, ამის გაცხადებისგან თავი შეგვეკავებინა, რადგან მას ჯერ „კიოლნისთვის“ უნდა ეთქვა უარი, მერე „ჰოფენჰაიმისთვის“. ეს ჯენტლმენური შეთანხმება არ დავარღვიეთ და ამიტომ ვაცხადებდით ბოლო დღეებში, ახალი ჯერჯერობით არაფერიაო.

— ბუნებრივია, სლოვენიელი სრეჩკო კატანეცი თბილისში აღარ ჩამოვა. ამის თაობაზე მას უკვე ვაცნობეთ.

— ტოპმიოლერი ალბათ 27 იანვარს ევროჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრასაც დაესწრება, ამის თაობაზე ჯერ დეტალურად არ გვისუბრია, თუმცა ეს პრობლემა არაა.

— თებერვალში კი მალტის ტურნირზე მისი დებიუტი ოფიციალურად შედგება. ამ ტურნირში მონაწილე გუნდების რაოდენობა ბოლომდე ჯერ არ გარკვეულა. ორგანიზატორები რამდენიმე გუნდისგან ელიან პასუხს. როგორც ვიცი, მალტის და ჩვენ გარდა შესაძლოა, ლიბიამ და ჩინეთმა ითამაშონ. ვნახოთ...

— ვფიქრობ, ეს ამბავი დიდი მოვლენაა ქართული ფეხბურთისთვის. ასეთი მწვრთნელით ბევრი ვერ დაიკვეხნის და მჯერა, ტოპმიოლერს შეუძლია, დიდი წვლილი შეიტანოს ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში.

კახა შალამბერიძე

კლაუს ტოპმიოლერი: ერთად გავაკეთოთ რაიმე განსაკუთრებული და დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია!

გერმანელის თვალში საქართველო მსოფლიოში პირველია



პრესკონფერენციის ბოლოს ნოდარ ახალკაცმა მოულოდნელი იდეაც შემოგვთავაზა — იგი კლაუს ტოპმიოლერს დაუკავშირდა და სთხოვა, ჩვენს კითხვებზე გაეცა პასუხი, რაზეც დაუზარელი თანხმობა მიიღო.

მოკლედ, ჰერ კლაუსის ექსპრეს-ინტერვიუ...

— უპირველეს ყოვლისა, ქართველ ხალხს დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავ და ყველაფერ კარგს ვუსურვებ!

— ძალიან მიხარია, რომ წინასწარი ხელშეკრულება უკვე გავაფორმეთ და მალე კონტრაქტსაც მოვანერთ ხელს. საბოლოო გადაწყვეტილება გუშინ მივიღეთ, როცა ხელშეკრულება ოფიციალურად გაფორმდა.

— უკვე ველაპარაკე რალფ მინგეს, რომელიც ლევერკუზენის „ბაიერში“ ჩემი თანაშემწე იყო და იგი თანახმაა, საქართველოში სამუშაოდ წამომყვეს. ერთ-ერთი ასისტენტი სწორედ ის იქნება.

— შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ რამდენიმე ფინანსურად მიმზიდველ წინადადებას სპორტულად მიმზიდველი ვამჯობინე. რამდენიმე მეგობარს ვესაუბრე და მითხრეს, საქართველო საფეხბურთო ქვეყანაა და იქ შედეგის მიღწევა შეიძლებაო. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი დახასიათება იყო.

— მე და ჩემმა მეუღლემ მაშინ გადავწყვიტეთ ქართველებთან თანამშრომლობა, როცა თბილისის აეროპორტში თვითმფრინავში ჩავსხედით და გერმანიაში ვბრუნდებოდით.

— ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ ისეთი თბილი დახვედრა და მასპინძლობა, როგორიც საქართველოში იყო, არსად მინახავს. ვფიქრობ, ამ მხრივ საქართველო პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

— თბილისში ყოფნისას პრესისგან, ქომაგებისგან და ფეხბურთში დასაქმებული ხალხისგან გულწრფელი დამოკიდებულება ვიგრძენი, რაც ძალიან მესიამოვნა. ძალიან გულწრფელი და საქმიანი იყო ფედერაციის პრეზიდენტიც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩემთვის.

— პოლიტიკაში საკმაოდ ჩახედული ვარ და მინდა, სწორედ ისეთი ქვეყნის ხალხს ვაჩუქო სიხარული, როგორიც საქართველოა. ქართველებს ფეხბურთი თურმე ძალიან უყვართ და ეს ამბავი მახარებს.

— რომელი გუნდები შეგვხვდებიან შესარჩევ ეტაპზე, დიდი მნიშვნელობა არ აქვს. სადაც მიმუშავია, ყოველთვის ასეთი განწყობა მქონდა და ყველას ამას ვეუბნებოდი. ჩვენ უნდა ვითამაშოთ ისეთი ფეხბურთი, რომ ჩვენი დადებითი მხარეები მაქსიმალურად გამოვიყენოთ. მეტოქის არ უნდა შეგვეშინდეს. მჯერა, ფეხბურთელებს დავარწმუნებ იმაში, რომ მათ ამის უნარი აქვთ და ხელწამოსაკრავები არ არიან.

— მე უკვე ვიწყებ საქართველოს ჰიმნის შესწავლას და მიმაჩნია, რომ პატრიოტული მოტივი საქართველოს ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

— მთელ საქართველოს მოვუწოდებ, ერთად გავაკეთოთ რაიმე განსაკუთრებული და დავამტკიცოთ, რომ ჩვენ ეს შეგვიძლია!

კახა ზალამბერიძე

დებიუტანტი





პირველ თბილისურ პრესკონფერენციაზე კლაუს ტოპმიოლერმა თქვა, ბუნებით ერთგული ადამიანი ვარო. მაშინ საქართველოს ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ოჯახი იგულისხმა, თუმცა „ტოპის“ იმითაც შეუძლია თავი მოიწონოს, რომ ფეხბურთელობაშიც არანაკლები ერთგულებით გამოირჩა.

პირველ ბუნდესლიგაში ტოპმიოლერის დებიუტი 21 წლის ასაკში შედგა. იქიდან მოყოლებული ჰერ კლაუსი რვა სეზონი ერთგულად ემსახურა „კაიზერსლაუტერნს“, მისი მაისურა 204-ჯერ მოირგო და მეტოქეთა კარს 108-ჯერ მოარგო გასაღები. ამას მძიმე ტრავმა და რამდენიმეწლიანი იძულებითი პაუზა მოჰყვა, ფეხბურთელის კარიერა კი ტოპმიოლერმა 1986-87 წლებში მეორე ბუნდესლიგის „ზალმროერში“ გატარებული სეზონით დაასრულა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში ნათამაშევ 3 შეხვედრაში კი ერთხელ შეძლო გოლის გატანა.

ჩვენთვის გაცილებით საინტერესო, რა თქმა უნდა, მისი სამწვრთნელო კარიერაა. პირველი კლუბი, რომლის გაწვრთნაც 36 წლის ტოპმიოლერს ანდეს, მეორე ბუნდესლიგის „ულმი“ იყო. მომდევნო ორ სეზონში იმავე ლიგის „ვალდჰოფში“ მუშაობის შემდეგ მან პირველი ბუნდესლიგის „აინტრახტი“ ჩაიბარა, სადაც შედგა კიდეც მისი ნაცნობობა ქართულ ფეხბურთთან, უფრო სწორად, ჩვენი ნაკრების მაშინდელ კაპიტან კახა ცხადაძესთან.

„აინტრახტიდან“ ტოპმიოლერმა „ბოხუმში“ გადაინაცვლა. სეზონი წარუმატებელი აღმოჩნდა, ბოხუმი ბუნდესლიგიდან გავარდა, თუმცა მომდევნო წელსვე მეორე ბუნდესლიგაში პირველი ადგილი დაიკავა და ელიტაში დაბრუნდა. მომდევნო სამი წელი უკვე საკმაოდ ცნობილმა მწვრთნელმა იმავ „ბოხუმში“ გაატარა და გერმანიის წლის საუკეთესო მწვრთნელის ტიტულიც პირველად ამ მოკრძალებული გუნდის დამრიგებლის რანგში მოიპოვა.

კლაუს ტოპმიოლერის კარიერის პიკად დღემდე 2002 წელი რჩება. თუმცა, ეს ალბათ მისთვის ყველაზე დიდი იმედგაცრუების წელიც იყო. ლევერკუზენის „ბაიერში“ დანიშვნისთანავე ტოპმიოლერს შეეძლო სეზონი „ჰეთ-თრიქით“ დაესრულებინა, მაგრამ ბუნდესლიგაში ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილებას ჩემპიონთა ლიგისა და გერმანიის თასის ფინალებში მარცხიც დაერთო. მცირე ნუგეშად უტიტულოდ დარჩენილი სპეციალისტისთვის გერმანიის საუკეთესო მწვრთნელად მეორედ აღიარება იქცა. მომდევნო სეზონში ტრავმებით განაწამები და ფსიქოლოგიურად გადაღლილი „ბაიერი“ საკუთარ თავს აღარ ჰგავდა, გავარდნას ბეწვზე გადაურჩა, ტოპმიოლერს კი კიდევ ერთხელ მოუხდა სამუშაო ადგილის შეცვლა. მისი მორიგი ნავსაყუდელი „ჰამბურგი“ იყო. 2003-2004 წლების სეზონი „ჰამბურგისა“ და ჰერ კლაუსისთვის მეტნაკლებად წარმატებული გამოდგა, შარშანდელ ოქტომბერში კი გუნდის არასტაბილური თამაშით უკმაყოფილო ჰამბურგული კლუბის ბოსებმა მასთან განშორება გადაწყვიტეს.

ერთი წელი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რათა კლაუს ტოპმიოლერს სანაკრებო ფეხბურთში ძალების მოსინჯვის გადაწყვეტილება მიეღო. მიუხედავად უდიდესი გამოცდილებისა და მსოფლიო აღიარებისა, სანაკრებო ფეხბურთში „ტოპის“ ჯერ არ უმუშავია და თებერვალში, მალტის ტურნირზე მისი დებიუტი შედგება.

გიორგი ნოზაძე



დიდოსტატის მარჯვენა რალფ მინგეც მოდის

ძველით შობის დღესასწაულის შემდეგ, 8-10 იანვარს კლაუს ტოპმიოლერი თბილისში ოფიციალურად მოაწერს ხელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტს. ჰერ კლაუსს ჩვენი ნაკრების გაძღოლაში ორი გერმანელი ასისტენტი დაეხმარება, რომელთაგან ერთი უკვე ცნობილია — რალფ მინგე.

ტოპის მარჯვენა ხელი 1960 წლის 8 ოქტომბერს დაიბადა იმდროინდელი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ პრიოსენში, 1980 წელს ჯერ იქაური „გრიოდიცში", შემდეგ კი გდრ-ის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ დრეზდენის „დინამოში" თამაშობდა და 11 წლის განმავლობაში, 222 მატჩში 103 გოლი გაიტანა ქვეყნის ჩემპიონატში.

1983-1989 წლებში მინგე გდრ-ის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ და 36 თამაშში 8 გოლი შეაგდო. მისი სამწვრთნელო კარიერა 1993 წელს დაიწყო იმავ დრეზდენის „დინამოში"; 1995 წელს ერცგებირგეს აუე-ს ჩაუდგა სათავეში; 1996-ში ისევ დრეზდენის „დინამოს" დაუბრუნდა და მის ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა; 3 წლის შემდეგ კი კიოლნის „ფორტუნას" თავკაცის, ლეგენდარული ტონი შუმახერის თანაშემწე გახდა, თუმცა ეს ყველაფერი მოკლედ იმიტომ ითქვა, რომ მინგეს (როგორც მწვრთნელის) გუნდებს ხმაურიანი წარმატებებისთვის არ მიუღწევიათ.

...მაგრამ ბარაქის დროც მოვიდა — 2000 წლის სექტემბრიდან 2005-ის სექტემბრამდე მინგემ „ლევერკუზენში" მეორე მწვრთნელად და თან გუნდის 21-წლამდელთა თავკაცად იმუშავა, მათ შორის, სამი წელი (2000-2003) სწორედ კლაუს ტოპმიოლერის თანაშემწე გახლდათ და, იცოცხლეთ, „ფარმაცევტებს" როგორი „ოქროს ხანა" ჰქონდათ. თუმცა ამას „ვერცხლის ხანა" უფრო ეთქმის — „ლევერკუზენი" 2002 წელს ყველგან მეორე იყო: ბუნდესლიგაშიც, გერმანიის თასზეც და ჩემპიონთა ლიგაშიც.

კლაუს ტოპმიოლერის მარჯვენა ხელი რომ დაბალი კლასის მწვრთნელი არ იქნება, ცხადია — ღმერთმა ქნას, ტოპი-მინგეს დუეტმა საქართველოშიც ლევერკუზენულად იმუშაოს...

ილია ნანოგაშვილი

გუნდი გაკეთდეს და, თანახმა ვართ, გაგვნურროს

როგორც იქნა, გველირსა გამოჩენილი უცხოელი მწვრთნელი — საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კლაუს ტოპმიოლერი გაწვრთნის.

ასეთია საახალწლო საჩუქარი ქართული ფეხბურთისთვის, მაგრამ რა იქნება შემდეგ? კონკრეტულად რა უნდა მოვთხოვოთ ტოპმიოლერს, რა ხეირს მოუტანს ის ჩვენს ნაკრებს? ამ კითხვებით მივმართეთ საქართველოს ეროვნული ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელს...

გაფრი კეთილაძის ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილი

— ვფიქრობ, ტოპმიოლერის ხელში უკეთესი შედეგი გვექნება — კარგ მწვრთნელს ვეძებდით და ვიპოვეთ კიდეც, რაც ძალიან კარგია. ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ბრძოლა ტოპმიოლერის მწვრთნელობით შესაძლებელია, გულშემატკივარს უნდა დავანახოთ, რომ თამაში შეგვიძლია. შესარჩევი ეტაპის ბოლო ტურამდე საქართველოს ნაკრები მოტივირებული უნდა იყოს.

გაფრი კეთილაძის ფოტო

შოთა არველაძე

— ლუის ვან გაალმა უკვე მომილოცა, ქართველებს მაგარი მწვრთნელი აგიყვანიათო. ტოპმიოლერის ხელმძღვანელობით რეალურად ვიბრძოლებთ ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის? საკითხს ასეთნაირად არ განვიხილავ, რადგან ვფიქრობ, ყველაზე მთავარი ისაა, რომ ტოპმიოლერის ხელში გუნდი გაკეთდეს, რისიც ძალიან მეიმედება.



ზურაბ დოლიძეს ბეჭედის ფოტო

ლევან კობიაშვილი

— იმის გარანტიას ვერავინ მოგვცემს, რომ ნაკრებს ფინალურ ეტაპზე გაიყვანს, მაგრამ მთავარი ისაა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სწორი გადაწყვეტილება რომ მიიღო. იმედია, ტოპმიოლერი ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებიდან მაქსიმუმის გამოწურვას შეძლებს — ეს უნდა იყოს მისი მთავარი ამოცანა. ტოპმიოლერს ეს კლუბებში უკვე გაუკეთებია და საქართველოს ნაკრებშიც უნდა მოახერხოს. მოკლედ, მოხარული ვარ, რომ ასეთი მაღალი დონის სპეციალისტი დაგვინიშნეს მწვრთნელად.

დავით თავართქილაძე

რატომ მერჩივნა ტოპი კატანეცს





ცნობილი ამბავია: რამდენი კაციცაა, იმდენი აზრია. სხვა სიტყვებით, მე თუ საქართველოს ნაკრების სათავეში იმთავითვე კლაუს ტოპმიოლერის ხილვა მსურდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენი გადაბრუნებული ურმის გადმობრუნებას მის გარდა სხვა ვერავინ ცდიდა. მეტიც, ხომ დავნიშნეთ ტოპმიოლერი? — კაცმა არ იცის, რა როგორ გამოვა. და ზუსტად ასევე არავინ უწყის, რა როგორ მოხდებოდა, მწვრთნელად სხვა რომ დაგვენიშნა. დღეს ერთადერთი, რაც შეგვიძლია, ვარაუდია, აი, კანდიდატი კი ორი იყო: უკვე ჩვენი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი და სლოვენი სრეჩკო კატანეცი.

ჰოდა, თქვენ მეკითხებით, რას ვუწუნებდი კატანეცს? მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე მწვრთნელად ნამყოფს ქართველის დასაწუნი მართლაცდა რა აქვს, მაგრამ, სულო ცოდვილო და... ტოპმიოლერის ქვეყნისგან განსხვავებით, მისი ქვეყანა მაინც სოციალიზმის წისქვილშია გატარებული ანუ არ არის გამორიცხული, ფულთან მათაც ცუღლუტი დამოკიდებულება ჰქონდეთ. არა, ჩვენებურად ცელქები, ცხადია, ვერ იქნებიან, მაგრამ გერმანია მაინც მეტისმეტად მოწესრიგებული და მუყაითი ხალხის ქვეყანაა და ტოპმიოლერის ერთი პლუსი ეს მგონია. სლოვენი საქართველოში და თან ისეთ ფულიან სფეროში, როგორიც ფეხბურთია, რაღაც ძალიან შემაშინებლად ჟღერდა.

მეორე: სრეჩკო კატანეცზე მხოლოდ ის ვიცით, რომ თავისი ქვეყანა ორჯერ გაიყვანა ჯგუფიდან. სხვა სიტყვებით, ჩვენთვის უცნობია, როგორ მუშაობს კატანეცი უცხოეთში. ნუთუ გამორიცხულია, ის ფსიქოლოგიურად მხოლოდ ადგილობრივ გარემოს მორგებული სპეციალისტი იყოს?! კატანეცს არც ყოველდღიურ ანუ საკლუბო ფეხბურთში ჰქონია რაიმე წარმატება და საერთოდაც, რაც სლოვენიის ნაკრებს აღარ წვრთნის, მგონი, ბიზნესშია. ჰოდა, ყოველივე ამის ფონზე გავიხსენოთ, რა ამოცანას ვისახავდით ქართველები მიზნად — შემოწმებული და გამოცდილი უცხოელი სპეციალისტის მოყვანა — და ვფიქრობ, დავინახავთ, რომ კატანეცი გაცილებით ექსპერიმენტული ვარიანტი იქნებოდა, ვიდრე ტოპმიოლერია. მეტიც, ტოპმიოლერი ექსპერიმენტული ვარიანტი თითქმის არც არის, რადგან მუდმივად ჩვენს თვალსაწიერში ტრიალებდა. თან ისეთ სერიოზულ დონეზე, როგორიც გერმანული ბუნდესლიგა და ევროთასებია.

და მესამე, რომელიც ბოლო ნათქვამიდან ლოგიკურად გამოდის — ქართველი ფეხბურთელებისთვის ფსიქოლოგიურად, აბა, სად ბუნდესლიგა და სად სლოვენი მწვრთნელი, თუნდაც კარგი. ახლა ჩვენს ნაკრებს მარტო კლაუს ტოპმიოლერი კი არა, გერმანული ფეხბურთის ავტორიტეტი გაწვრთნის, ისე კი, მათ წინაშე უნდა დამდგარიყო ახალგაზრდა სლოვენი კაცი, რომელიც, დიდ ბოდიშს ვითხოვ და, რამდენადაც ჩემთვის კულუარულად ცნობილია, ყველამ არცკი იცოდა, ვინ იყო...

ჰოდა, ამიტომ მერჩივნა ტოპი კატანეცს. ახლა, ნეტამც გაამართლოს.

პაპუნა კედია

ბადრი კეთილაძის ფოტო

უჩა უგულავა, ნოდარ ახალკაცი, დმიტრი რამიშვილი და გოგი ქავთარაძე

საგანგაშო ცაიტ-ნოტები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის პრესკონფერენციის მთავარი თემა ეროვნული ნაკრების მწვრთნელად კლაუს ტოპმიოლერის დანიშვნა რომ იყო, წინა გვერდებიდანაც გეცოდინებათ. თუმცა პრესკონფერენციაზე სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც ითქვა, კერძოდ, კლუბების ლიცენზირებაზე, რამაც, შესაძლოა, ქართული ფეხბურთი გვარიან საფრთხეში ჩააგდოს...

ნოდარ ახალკაცი: სანამ საქმეზე გადავიდოდე, მანამდე მინდა, ბოდიში მოვიხადო რამდენიმე დღის წინ აღმასკომის სხდომის შემდეგ დანიშნულ პრესკონფერენციაზე დაგვიანებისთვის. მაშინ პრესკონფერენცია ორი საათით გვიან დაიწყო...

— სხვათა შორის, პირველად თავის ისტორიაში აღმასკომი ოთხ საათს გაგრძელდა და, როგორც იქნა, იგი იღებს ქართული ფეხბურთის მმართველი ორგანოს სახეს. სწორედ ამის გამო მოგვიხდა თქვენი შეყოვნება, მაგრამ ჩვენთვის მაინც მიუღებელია ის, რაც მოხდა ჟურნალისტების მხრიდან.

— ისე ჩანს, რომ ერთ მხარეს ფედერაცია დგას, მეორე მხარეს — ჟურნალისტები. არადა, ჩვენ საერთო საქმე გვაქვს და ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ. იმედია, ამგვარი ინციდენტი აღარ განმეორდება და მზად ვარ, კონსტრუქციული დიალოგისთვის.

— რაც შეეხება გრიგოლ ცაავას გადადგომას: მინდა, გითხრათ, რომ ჩემსა და ბატონ გრიგოლს შორის არაფერი მომხდარა და ნურავინ შეეცდება, კონფლიქტის ამოქექვას. სანამ მე ცოცხალი ვიქნები, იგი ჩემთან იქნება. საბედნიეროდ, ეს საკითხი პრესაში დადებითად გაშუქდა და ამისთვის მადლობელი ვარ.

— დღევანდელი პრესკონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა კლუბების ლიცენზირება. 2007-08 წლების სეზონიდან სიტუაცია მკვეთრად შეიცვლება — თუ აქამდე ევროთასებზე გასულ გუნდებს მოეთხოვებოდათ ლიცენზიის აღება, ახლა ეს ყველა კლუბს შეეხება. უეფას მოთხოვნით, უმაღლეს ლიგაში მონაწილე ყველა კლუბმა უნდა დააკმაყოფილოს ლიცენზირების მინიმალური მოთხოვნები, რაც, ძირითადად, სტადიონს და, საერთოდ, ინფრასტრუქტურას შეეხება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლუბს უვარგის სტადიონზე მატჩების ჩატარება აეკრძალება, ანუ ჩემპიონატის ჩატარებას საფრთხე ემუქრება. ყველამ იცის, რა მდგომარეობაშიც არის ქართული სტადიონები და თუ რამე არ გაკეთდა, მათ უმაღლეს ლიგაში თამაშს აზრი არ ექნება.

— სიტუაციის გამოსწორებამდე დაახლოებით წელიწადნახევარი დაგვრჩა, რაც არცთუ დიდი დროა. 2007 წლის ზაფხულში უეფას ექსპერტები ჩამოვლენ, სტადიონებს დაათვალიერებენ და თავადვე შეაფასებენ. სხვა გზა არ გვაქვს, ამ საქმეს უნდა მივხედოთ, თორემ უცხოელი მწვრთნელიც და სხვა ბევრი რამაც წყალში გადაგვეყრება.

გოგი ქავთარაძე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი: ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთისთვის. თუ სტადიონები არ მოვაწესრიგეთ, ევროთასებს ვინ ჩივის, კლუბები ჩემპიონატის მატჩებსაც ვერ გამართავენ. საამისოდ მუშაობა დღეიდანვე უნდა დავიწყოთ, რადგან დაგვიანებამ, შესაძლოა, ძალიან ცუდ შედეგებამდე მიგვიყვანოს. შეიძლება ითქვას, 2006 წელი აღმშენებლობის წლად უნდა გამოვაცხადოთ.

ქახა შალამბერიძე

ფრთხილად, თორემ გაგვიგორდეს ლიგა

მიეცით შანსი ფეხბურთს და ბიზნესს!

უეფას მხრიდან კლუბების ლიცენზირების საკითხის კიდევ უფრო წინა პლანზე წამოწევამ გვარიანი საფიქრალი გაუჩინა ქართული ფეხბურთის პირველკაცებს. სიტუაციის გამოსასწორებლად დრო აშკარად ცოტაა, მოსაგვარებელი პრობლემა — უამრავი. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს ჩემპიონატის მეტნაკლებად ნორმალურ რეჟიმში ჩატარებას შეიძლება საფრთხე დაემუქროს.

მოგეხსენებათ, 2007-08 წლების სეზონიდან უმაღლესი ლიგის შეხვედრების მასპინძლობა მხოლოდ იმ სტადიონებს შეეძლებათ, რომლებიც მინიმუმ 3 ათასი ინდივიდუალური სკამით და განათების სისტემით იქნებიან აღჭურვილნი. დღეისთვის ინდივიდუალური სკამებით სულ ხუთი ქართული სტადიონია აღჭურვილი, განათების სისტემა კი სამს გააჩნია. თავად განსაჯეთ, რამდენად მასშტაბური სამუშაოები იქნება ჩასატარებელი მომავალი წლინახევრის განმავლობაში.

ერთია პრობლემის გასიგრძეგანება, მაგრამ უცნობია, ვინ იტვირთებს ჩვენი სტადიონების მინიმალურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას. როგორც წესი, სტადიონები ადგილობრივი ადმინისტრაციების ბალანსზეა. იმის იმედად ყოფნა, რომ რაიონული ბიუჯეტების ხარჯზე მოხერხდება სკამების ან განათების სიტემის მონტაჟი, არასერიოზულობა იქნება. თუკი სახელმწიფო სტრუქტურებს რეალურად სურთ ქართული ფეხბურთისთვის დახმარების აღმოჩენა, უნდა დაჩქარდეს სტადიონების განსახელმწიფოებრიობის პროცესი.

სეზონის დაწყების წინ რეალურად გაჩნდა იმის შანსი, რომ გორის „დილაში“ კერძო ინვესტიცია ჩადებულიყო. გიორგი ნემსაძეს და მის პარტნიორებს გუნდის პატრონობის პარალელურად სტადიონის რეკონსტრუქციაც ჰქონდათ ჩაფიქრებული. გეხსომებათ, მაშინ რეგიონულმა ადმინისტრაციამ აშკარად არარეალური ფასი დაადო კლუბს. გარიგება ჩაიშალა და რა მდგომარეობაშია დღეს „დილა“, ყველას კარგად მოგვეხსენება.

ეს ფეხბურთის პრობლემებისადმი „ქართული მიდგომის“ მხოლოდ ერთი კონკრეტული მაგალითი გახლავთ და ასეთი მაგალითი კიდევ არაერთი შეგვიძლია მოვიყვანოთ.

ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამის დეკლარირება თავისთავად შედეგს ვერ მოგვიტანს. თუკი ადამიანს დღევანდელ ქართულ ფეხბურთში ფულის დახარჯვის (და არა დაბანდების) სურვილი აქვს, მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმიც უნდა შეეუქმნათ. თუ საჭიროა, სიმბოლურ ფასად ან სულაც უფასოდ უნდა გადავცეთ სტადიონებიც, ოღონდ იმ პირობით, რომ კონკრეტულ ვადებში კონკრეტული თანხის ინვესტირებას მოახდენენ და ამა თუ იმ იავარქმნილ ნაგებობებს მართლაც საფეხბურთო არენებს დაამსგავსებენ.

2007 წლის ზაფხულში უეფას კომისია ქართულ სტადიონებს მოივლის და ვერდიქტსაც გამოგვიტანს. საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებს დიპლომატია და მოქნილობა არ ესწავლებათ, მაგრამ როცა პრინციპულ საკითხებზე მიდგება საქმე, მათი გულმოწყალების იმედად ყოფნა არას გვარგებს. მიყურისძირების შემთხვევაში, შეიძლება საქართველოში სულ რამდენიმე სტადიონმა დაიმსახუროს უეფას კომისიის კეთილგანწყობა და ჩვენს კლუბებს რიგში მოუხდეთ დგომა ერთსა და იმავე სარბიელზე შეხვედრების გასამართად.

შექმნილ ვითარებაში ყველაზე მარტივი გამოსავალი ხელის გაშვერა და სახელმწიფოსთვის თავის შეცოდება იქნება. თუმცა, იმავე სახელმწიფოს უფრო სისტემურად მოუწევს ამ ყველაფრის მოსაგვარებლად გარჯა. საკანონმდებლო დონეზე განხორციელებულმა ცვლილებებმა, შეღავათიანმა რეჟიმმა თუ წახალისების სისტემამ კერძო ბიზნესს უნდა მისცეს ბიძგი და ეს არის თითქმის ერთადერთი გამოსავალი. საბოლოო ჯამში, ქართული ფეხბურთის წარმატების გასაღები ხომ სწორედ კერძო ბიზნესში დევს და არა ხელოვნური სუნთქვის აპარატად ქცეულ საბიუჯეტო სახსრებში.

გიორგი ნოზაძე



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბორჯომმა იპოდრომით დაიწყო

რევაზ გეწაძე: ტრაბზონი ან ზესტაფონი

გაზეთ დილის ფოტო

რევაზ გეწაძე (№19) „ბორჯომში“ დარჩენას არ აპირებს

მოკლედ ვთქვათ: მოარული ხმები „ბორჯომიდან“ ფეხბურთელთა მასობრივი მიგრაციის და გუნდის დასუსტების შესახებ გადაჭარბებული აღმოჩნდა. გუშინწინ კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელები საფეხბურთო აკადემია „ოლიმპიკში“ შეკრიბა და საერთო კრება ჩაატარა. ითქვა, რომ ბორჯომელები არავის გაშვებას არ აპირებენ. შესაბამისად, მათი მიზანიც უცვლელია — ერთ-ერთი ევროსაგზურისთვის ბრძოლა.

გუშინ „ბორჯომმა“ პირველი ვარჯიში იპოდრომზე გამართა. ერთჯერადი ვარჯიშები, სავარაუდოდ, 7-8 იანვრამდე გაგრძელდება, ამის შემდეგ წვრთნა ორჯერად რეჟიმში გაგრძელდება და გუნდი შეკრების გასავლელად ბათუმში გაემგზავრება.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელზეც გადაჭრით შეიძლება ითქვას, კლუბი დატოვაო, პაატა გვირჯიშვილია. წარმოშობით ახალციხელმა გვირჯიშვილმა კარიერის პირველლიგოსან „მესხეთში“ გაგრძელება გადაწყვიტა.

რაც შეეხება მატებას — ბორჯომელებთან ვარჯიშობს თბილისის „სპარტაკის“ მცველი ლაშა ჯანგიძე.

ბორჯომელთა ერთ-ერთი ლიდერი *რევაზ გეწაძე* კი სავარაუდო ტრანსფერის მოლოდინშია და ეს თავადაც დაგვიდასტურა:

— ახალი წლის შემდეგ თურქეთში გავემგზავრები, „ტრაბზონსფორში“ გასინჯვაზე მიმიწვიეს. ამ გარიგებას თურქი აგენტი აგვარებს. ტრაბზონელებთან ერთად რამდენიმე დღე ვივარჯიშებ და თუ ყველაფერი კარგად იქნა, კონტრაქტსაც გავაფორმებ. სხვა უცხოური შემოთავაზება ნამდვილად არ მაქვს, თუმცა ერთ-ერთი ქართული კლუბი კი მეპატიჟება. თუ თურქული ვარიანტი არ გამოვიდა, შესაძლოა, იმ გუნდში განვაგრძო სეზონი.

ქართული გუნდი, რომელიც „ტრაბზონსფორში“ ვერმოწყობის შემთხვევაში რევაზ გეწაძეს ეპატიჟება, „ზესტაფონია“ და იმის შანსი, რომ გეწაძემ მეორე წრე „ბორჯომში“ დაიწყოს, პრაქტიკულად ნულის ტოლია. მოგეხსენებათ, რევაზს კონტრაქტი თბილისის „თბილისთან“ აკავშირებს და ბორჯომში განათხოვრებით თამაშობდა.

გიორგი ნოზაძე

ლევან ხმალაძე და ჯაბა დვალი „დინამოს“ სიტყვას ელიან

სიონმა დაცვა გააძაგრა

რას იტყვის დინამო?

ბოლნისის „სიონში“ სატრანსფერო დუღილი გრძელდება. ქვემოქართლელებმა იციან, რომ გრიგოლ დოლიძის, თენგიზ ჩიკვილაძისა და დავით ბოლქვაძის დაკარგვას აღვილად ვერ აინაზღაურებენ, ამიტომაც შევსებაზე ზრუნავენ.

„სიონმა“ კიდევ ორი ფეხბურთელი დაიმატა და ორივე მცველი: „ბათუმიდან“ ბეგლარ თედორაძე და „ბორჯომიდან“ ლაშა ჭელიძე, რომლებთანაც დღეს კონტრაქტს გააფორმებს. შეგახსენებთ, ბოლნისელებმა წინა დღეებში შეიძინეს ფორვარდები — ირაკლი სირბილაძე „ლოკომოტივიდან“ და დავით ჩიღვინაძე „ცხინვალიდან“, ასევე მეკარე ზურაბ ბადიაშვილი „კოლხეთიდან“.

და რაც „სიონისთვის“ ყველაზე პრობლემატურია: გაუშვებს თუ არა ბოლნისში თბილისის „დინამო“ ჯაბა დვალს, გიორგი კვიტაიშვილს, ლევან ხმალაძესა და გიორგი ქუცურუას? როგორც „სიონის“ დირექტორმა გია აბაზაძემ გვითხრა, ეს საკითხი დღეს გადაწყდება, ბოლნისელებს ამ ოთხეულიდან უფრო ხმალაძისა და დვალის დაბრუნება სურთ და ვნახოთ...

ილია ნანოგაშვილი

ფოფხაძე ახალ წელს ოლიმპიაკოსში შეხვდება

სათადარიგო აეროდრომი იოსტერია

ჯადრი ჯეთილაძის ფოტო

გადაწყვეტილი ამბავია, რომ ზეგ თბილისის „თბილისის“ მცველი გიორგი ფოფხაძე საბერძნეთში გაემგზავრება იქაურ „ოლიმპიაკოსში“ გასასინჯად. ეს ინფორმაცია ბოლო ორ კვირაში რამდენჯერმე წამოტივტივდა, თუმცა თავად ფეხბურთელი ამას არ გვიდასტურებდა.

გუშინ კი გიორგიმ სხვა რამ გვითხრა: „28 დეკემბერს საბერძნეთში გავფრინდები. როგორც ვიცი, ათი-თორმეტი დღე ვივარჯიშებ „ოლიმპიაკოსში“ და თუ ხელმძღვანელობისთვის თავის მოწონებას მოვახერხებ, კონტრაქტზეც იქვე დავილაპარაკებთ. იმ შემთხვევაში, თუ „ოლიმპიაკოსში“ არ დავრჩი, პირდაპირ საბერძნეთიდან გავფრინდები შვედეთში და „იოსტერთან“ უკვე გამზადებულ კონტრაქტზე მოვაწერ ხელს. როგორც ანდრო ნინიაღისმა მითხრა, ბერძნებს ჩემ შესახებ საკმაო ინფორმაცია აქვთ და დანარჩენი ჩემზეა დამოკიდებული. „თბილისთან“ მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ გვერდში დამიდგება“.

გიორგი ნოზაძე

ბენდელას თასი 2005

სპორტის სასახლე. 23-28 დეკემბერი

A ჯგუფი

შაბათი

სოხუმი 1:4 ნაციონალები

სიონი 2:6 ნაძალადევი

კვირა

სიონი 1:7 ნაციონალები

ნაძალადევი 2:1 სოხუმი

ნაციონალები	3	3	0	0	13:3	9
ნაძალადევი	3	1	1	1	9:6	4
სოხუმი	3	1	1	1	5:7	6
სიონი	3	0	0	3	4:15	0

B ჯგუფი

შაბათი

სეუ 3:5 ირაო

საბურთალო 1:1 იამაჰა

კვირა

სეუ 2:1 იამაჰა

ირაო 2:1 საბურთალო

ირაო	3	2	0	1	8:8	6
სეუ	3	2	0	1	8:8	6
იამაჰა	3	1	1	1	6:4	4
საბურთალო	3	0	1	2	4:6	1

C ჯგუფი

შაბათი

სეუ 2 1:1 დინამო (ახალგაზრდები)

ჩიხურა 1:0 სკონტო-აკადემია

კვირა

სეუ 2 3:1 სკონტო-აკადემია

ჩიხურა 2:2 დინამო (ახალგაზრდები)

სეუ 2	3	1	2	0	8:6	5
ჩიხურა	3	1	2	0	7:6	5
სკონტო-აკადემია	3	1	0	2	4:4	3
დინამო (ახ.)	3	0	2	1	3:6	2

მეოთხედფინალი. დღეს

ირაო — სოხუმი

სეუ 2 — ნაძალადევი

ნაციონალები — იამაჰა

სეუ — ჩიხურა

თელავის „კახეთი“ უმაღლეს ლიგაში ნოდარ ახალკაცის იდეამ გადაიყვანა

ოთარ კორღალიძე და თელაველები დღემდე ვერ მორიგდნენ

კახეთი

მე-11 ადგილის ამბავი

ხალხი, სტაბილურობა, ნისლი, ელექტრობა... ანუ რა ღირს ხაშლაშა?

წინა სეზონში თელავის „კახეთი“ პირველ ლიგაში თამაშობდა, მეოთხე ადგილზე გავიდა და უმაღლეს ლიგაში ასვლა არ ეკუთვნოდა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციაში ნოდარ ახალკაცის გაპრეზიდენტებამ თექვსმეტგუნდა უმაღლესი ლიგაც მოგვიტანა და კახელები სარეიტინგო თექვსმეტეულში მოკალათდნენ.

ნელბოლოს [illegible] დასაწყისში ემოციური მეხსიერ[illegible] იყო — არასპორტული [illegible] მორთმეულ უმაღლეს ლიგას უემრიელი ოხშივარი ასდიოდა და თელავში გივი ჩოხელის სახელობის ექვსიათასიანი სტადიონი ივსებოდა ან თითქმის ივსებოდა ხოლმე. იქაურ გულშემატკივრებს თავიანთი ყოჩიც ჰყავდათ, მაგრამ... ყველაფერი მალევე თავის ადგილზე დადგა — ალხანა საქმეს ჩალხანა შედეგი მოჰყვება ხოლმე და ამას ვერც „კახეთი“ გაექცა — რა პირობებიც აქვს კლუბს, ისე თამაშობს.

პირველ ტურში „კახეთმა“ შინ თბილისის „დინამოსთან“ 1:3 წააგო, მაგრამ გვარიანად ანერვიულა დინამოელები. მომდევნო ტურში „კახეთმა“ სტუმრად „ცხინვალი“ დაამარცხა, მერე შინ „ვიტ ჯორჯიამ“ ძლივს მოუგო, შემდეგ „ბორჯომთან“ წააგო, რასაც „სპარტაკთან“ საშინაო გამარჯვება მიაყოლა. მოკლედ, „კახეთს“ არ ჰქონია წაგებათა და მოგებათა სერია, თავისებური სტაბილურობით გამოირჩეოდა და პირველი ლიგის მეოთხეადგილოსანმა უმაღლესი ლიგის პირველ წრეში ხუთი მატჩი რომ მოიგო, ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის.

ისიცაა, რომ „კახეთმა“ უშუალო კონკურენტებთან ანუ იმათთან, მიზნად უმაღლეს ლიგაში დარჩენა რომ დაუსახავთ, მხოლოდ ერთი მატჩი წააგო, მეთორმეტე ტურში სოხუმის „დინამოსთან“, დანარჩენ კონკურენტებთან კი თელაველებმა მხოლოდ ორი ქულა დაკარგეს — „თბილისთან“ შინ ფრე ითამაშეს.

მეექვსე ტურში „სიონთან“ სტუმრად მარცხის შემდეგ „კახეთის“ მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე გუნდიდან დაითხოვეს და მის ნაცვლად ჯემალ მახარაშვილი დანიშნეს. კორღალიძის ხელში „კახეთს“ ექვს თამაშში ექვსი ქულა ჰქონდა, ხოლო მახარაშვილის ხელმძღვანელობით ცხრა თამაშში ათი ქულა მოინაგრა.

კორღალიძეს „კახეთთან“ კონტრაქტი ამოწურული არ ჰქონდა და გადადგომის შემდეგ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა მოითხოვა, რის გადახდასაც კლუბი არ აპირებდა. ოთარ კორღალიძე სასამართლოთი დაემუქრა „კახეთს“, მაგრამ შემდეგ „სარბიელს“ უთხრა, ჩივილს ჯერ არ ვაპირებ, იმედია, საქმე ისედაც მოგვარდებაო.

მახარაშვილის ხელმძღვანელობით „კახეთმა“ პირველი მატჩი ქუთაისის „ტორპედოსთან“ ითამაშა და 1:0 მოიგო. მახარაშვილმა შეცვლა გამოიცნო, 65-ე წუთზე ვასილ არუდაშვილი შეუშვა მოედანზე, რომელმაც პენალტი მოინადირა და მისი შესრულებაც თვითონ იკისრა — ეს 1:0 მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო „კახეთისთვის“, ქუთაისელები კი წაგებას მატჩის არბიტრ ლევან კვარაცხელიას აბრალებდნენ.

მორიგი წონიანი გამარჯვება მოიპოვა „კახეთმა“ მეთერთმეტე ტურშიც — კახელები ფოთის „კოლხეთს“ მასპინძლობდნენ, როცა თელავში ალბიონური ნისლი ჩამოწვა — ასეთ ამინდში თამაშს „კახეთმა“ კარგად აუღო ალღო და 3:2 იძალა, ორი ბურთი მასპინძელთაგან მიხეილ სოსელიამ გაიტანა, ერთიც არუდაშვილმა.

საშინაო მატჩებზე მაყურებელთა დასწრების მხრივ „კახეთი“ ვინძლო პირველ ადგილზეც იყოს, თელავის სტადიონს ელექტროტაბლოც ამშვენებს, მაგრამ მიუხედავად ყველაფერ ამისა, მიმდინარე სეზონში „კახეთს“ ოდენ მოკრძალებული მიზანი ამოძრავებს — უმაღლეს ლიგაში ყოფნა.

დავით თავართქილაძე

პირველი ტური
30 ივლისი, შაბათი
ჯახეთი 1:3 დინამო

მეორე ტური
6 აგვისტო, შაბათი
ცხინვალი 0:1 ჯახეთი

მესამე ტური
20 აგვისტო, შაბათი
ჯახეთი 0:1 ვიტ ჯორჯია

მეოთხე ტური
28 აგვისტო, კვირა
ბორჯომი 2:1 ჯახეთი

მეხუთე ტური
10 სექტემბერი, შაბათი
ჯახეთი 1:0 სპარტაკი

მეექვსე ტური
17 სექტემბერი, შაბათი
სიონი 4:1 ჯახეთი

მეშვიდე ტური
25 სექტემბერი, კვირა
ჯახეთი 1:0 ტორპედო

მერვე ტური
2 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი 3:0 ჯახეთი

მეცხრე ტური
15 ოქტომბერი, შაბათი
ჯახეთი 3:0 დილა

მეათე ტური
22 ოქტომბერი, შაბათი
ბათუმი 1:0 ჯახეთი

მეთერთმეტე ტური
30 ოქტომბერი, კვირა
ჯახეთი 3:2 კოლხეთი

მეთორმეტე ტური
6 ნოემბერი, კვირა
სოხუმი 2:0 ჯახეთი

მეცამეტე ტური
13 ნოემბერი, კვირა
ჯახეთი 1:2 ამერი

მეთოთხმეტე ტური
19 ნოემბერი, შაბათი
ჯახეთი 1:1 თბილისი

მეთხუთმეტე ტური
27 ნოემბერი, კვირა
ზესტაფონი 4:0 ჯახეთი





ვასილ არუდაშვილი

მეგოლეები
4 — ვასილ არუდაშვილი
3 — მიხეილ სოსელია
2 — კობა კობაიძე
დავით ბურდული
1 — დავით ბედოიძე
ნიკა დავითაშვილი
მერაბ კუპრაშვილი

კახეთი
პირველ წრეში
15 თამაში, 5 მოგება, 1 ფრე, 9 წაგება, ბურთები 14:23, 16 ქულა

XVIII ტური

დღეს

ასტონ ვილა	:	ევერტონი
ჩარლტონი	:	არსენალი
ჩელსი	:	ფულემი
ლივერპული	:	ნიუკასლი
მანჩესტერი	:	უესტ ბრომიჩი
მიდლსბრო	:	ბლექბერნი
პორტსმუთი	:	უესტ ჰემი
სანდერლენდი	:	ბოლტონი
ტოტენჰემი	:	ბირმინგემი
შიგანი	:	სიტი

საჯარისო ვითარება

ჩელსი	17	15	1	1	37:7	46
მანჩესტერი	17	11	4	2	31:14	37
ლივერპული	15	9	4	2	20:8	31
ტოტენჰემი	17	8	7	2	25:16	31
ბოლტონი	16	9	3	4	22:14	30
უიგანი	17	9	1	7	19:18	28
სიტი	17	8	3	6	23:16	27
არსენალი	16	8	2	6	22:15	26
ვესტ ჰემი	17	7	4	6	24:21	25
ნიუკასლი	17	7	4	6	18:17	25
ჩარლტონი	16	7	1	8	21:26	22
ბლექბერნი	17	6	3	8	19:24	21
მიდლსბრო	17	5	5	7	23:26	20
ფულემი	17	5	4	8	18:22	19
ასტონ ვილა	17	4	5	8	16:26	17
ევერტონი	17	5	2	10	9:23	17
ვესტ ბრომიჩი	17	4	4	9	17:25	16
პორტსმუთი	17	3	4	10	13:26	13
ბირმინგემი	16	3	3	10	11:23	12
სანდერლენდი	17	1	2	14	14:35	5

ინგლისი

ალი ალანდელაძე

ორმაგი ზეიმი ალბიონზე

მაშინ, როდესაც თითქმის მთელი ევროპა ისვენებს და კათოლიკურ შობას აღნიშნავს, ინგლისში ტრადიციულად ფეხბურთს თამაშობენ, ეს უკვე აღარ გვიკვირს. ნისლიან ალბიონზე ხომ ბურთის გორებაც დიდი ზეიმია.

მე-18 ტურის ცენტრალური მატჩი „ენფილდზეა". შესაშურ ფორმაში მყოფი „ლივერპული" ასევე ათამაშებულ „ნიუკასლს" მასპინძლობს. „კაჭკაჭთა" ფორვადი მაიკლ ოუენი პირველად ითამაშებს თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ.

„ნამდვილად უცნაური გრძნობაა, დიდი ხნის მერე „ენფილდზე" დაბრუნება. ქომაგებს დიდი სიამოვნებით მივესალმები და მჯერა, მათ ესმით, რომ ამჯერად სხვა გუნდისთვის დავიხარჯები 100 პროცენტით. თუ გოლს გავიტან, ემოციების დამალვას არ ვაპირებ და ჩვეულებრივად აღვნიშნავ, მაგრამ განსაკუთრებული სიხარულის გამოხატვას არ ვაპირებ" — თქვა ოუენმა.

სტუმრებს არ ეყოლებათ სკოტ პარკერი, რომელიც დისკვალიფიცირებულია. სამაგიეროდ, წესით, მინდორს უნდა დაუბრუნდნენ სტივენ კარი, ემრე, სელესტინ ბაბაიარო, სტივენ ტეილორი და ჩარლზ ნზოგბია. მასპინძლებს კი დისკვალიფიცირებული მოჰამედ სისოკო არ დააკლდებათ, რომელიც ტრავმამოშუშებულმა დიტმარ ჰამანმა უნდა შეცვალოს. მერსისაიდელთა ექიმებს ეიმედებათ, რომ გერმანელი „ჯორდებთან" მატჩამდე სრულად ჩადგება მწყობრში.

„ჩელსი" თანაქალაქელ „ფულემს" მასპინძლობს, ჯოზე მაურინიუს გუნდს ტრავმების შემდეგ ასიერ დელ ორნო და დემიენ დაფი უნდა დაუბრუნდნენ. სტუმრებს კი სტიდ მალბრანკი არ ეყოლებათ, ხოლო ჰაპე ბუბა დოპის, კოლინზ ჯონისა და ლუიშ ბოა მორტეს თამაში საეჭვოა.

ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნით გაბრაზებული და ათამაშებული „მანჩესტერ იუნაიტედი" „ვესტ ჰემს" მიიღებს. ამ კლუბების დაპირისპირება ისტორიულად ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია პრემიერლიგაში.

„ოლდ ტრეფორდის" ბინადრებს ერთ-ერთი ლიდერი კრისტიანუ რონალდუ არ ეყოლებათ. სანაცვლოდ, შესაძლოა, ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ მინდორს დაუბრუნდეს ოლე გუნარ სოლსკიაერი. „ჩაქუჩები" კი მეტოქეს უდანაკარგოდ სტუმრობენ. მათ ორი ლიდერი უბრუნდებათ, ზოლტან გერა და სტივ უოტსონი.

„ჩარლტონსა" და არსენალს" შორის კიდევ ერთი ლონდონური დერბი შედგება. ალან კერბიშლის გუნდს ჯეი ბოტროიდი გამოუჯანმრთელდნენ, ხოლო „მეთოფეთა" საქმე ცოტა რთულადაა — ხოსე ანტონიო რეიესმა ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ რობინ ვან პერსისა და ტიერი ანრის თამაში საეჭვოა.

„ჩვენი მიზანი ახლა ვითარების გამოსწორება და, რაც შეიძლება კარგი ადგილის დაკავებაა. ჩემპიონობაზე ფიქრი უკვე არარეალურია, მაგრამ ყველა შეხვედრაში გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ და „ჩარლტონთანაც" ასე იქნება — განაცხადა „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.



იან რაიტი სვენ-გორან ერიკსონის საქმიანობით უკმაყოფილოა

ეგ მოხარშული თევზი, ეგა

„არსენალის" ძველმა მეგოლემ და ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავმა იან რაიტმა სვენ-გორან ერიკსონს შეუტია. რაიტმა ერიკსონს „უსარგებლო კაცი" უწოდა და თქვა, რომ ის იმიტომაა ინგლისში, რომ ფეხბურთის ასოციაციაში ვიღაც ქალებს ასე და ისე და სულ ნაირგვარად უქნია. რაიტისთვის, რომელიც „არსენალის" საუკეთესო მეგოლე იყო 185 ბურთით ტიერი ანრის გამოჩენამდე, გერს, შონ რაიტ-ფილიპსს უთხოვია, შვედს უგრე მკაცრად ნუ გააკრიტიკებ, ნაკრებში ვყავარო, ოღონდ იანს მაინც ვერ შეუკავებია თავი.

„მაგ კაცმა ჩვენი სულისა ვერაფერი გაიგო — უთქვამს რაიტს — ვერ მიხვდა, რას ნიშნავს ინგლისელებისთვის წაგება და რას ნიშნავს მთელი მსოფლიოსთვის ინგლისის დამარცხება. ეგ შვედია და ცრემლის არაფერი იცის. ეგ მოხარშული თევზი ეგა... მიჭირს ამეების ლაპარაკი, რადგან ჩემი ვაჟი ნაკრებში თამაშობს და ცდილობს გამაჩუმოს, მაგრამ მე ვეუბნები, რომ ამას, როგორც ფანი, ისე ვამბობ. მაგას ენება მარტო ქალების დევნაში აქვს, ისე კი თავკომბალას მეტი განცდა ექნება, ვიდრე სვენს. გუნდსაც რომ ქალებივით სდიოს, საქმე უკეთ წავა. ლამის ოთხმილიონნახევარს იღებს და მთელი მაგის საქმე ისაა, რომ ბიჭებს ჩრდილოირლანდიელებთან არ ჩამოეძინოთ. ამ ფულით მეტი საქმე მოეთხოვება".

ირაკლი გამყრელიძე

ვილა იყიდება

დაგ ელისი

„ასტონ ვილას" მოხუცი პატრონი დაგ ელისი სიძუნწითაა ცნობილი, მაგრამ ახალი წლიდან დიდ ბირმინგემულ კლუბს ეგებ ახალი პატრონიც ჰყავდეს.

ირლანდიელი უძრავი ქონების მაგნატები, ბრაიან და ლუკ კომერები თითქმის მზად არიან, რომ კლუბში 64,4 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ.

კლუბი ჯერჯერობით ლუმს, მაგრამ მედიამ შეატყო, რომ მოლაპარაკებები ელისსა და მძებს შორის წარმატებულია და მომავალი პატრონები ამბობენ, რომ სამ წელიწადში „ასტონ ვილა", რომელსაც დიდი ტრადიციები აქვს, ჩემპიონთა ლიგის მუდმივი ბინადარი იქნება.

ირაკლი გამყრელიძე

სერბი მანჩესტერში

მოსკოვის „სპარტაკის" 24 წლის სერბი მცველი ნემანია ვიდიჩი ალბათ „მანჩესტერ იუნაიტედში" გადავა. „სპარტაკის" პასუხისმგებელმა შეფმა, სერგეი შავლომ თქვა, რომ თავიდან ვიდიჩი „ფიორენტინასკენ" ეშურებოდა, მაგრამ უკვე თითქმის მიღწეულია შეთანხმება 8 მილიონ გირვანქაზე რუსებსა და მანჩესტერელებს შორის. „თითქმის" იმიტომ, რომ სერბით „ლივერპულიც" დაინტერესებულია.

ირაკლი გამყრელიძე

გიო ახვლედიანის ფრიალონული ბილეთები

შირას დაშლა-არმოშლა

ამ დღეებში „ნიუკასლის" მენეჯერი გრემ სუნესი ალან შირერს სთხოვდა, ფეხბურთს თავი არ დაანებო, გაისადაც ითამაშეო. შირერი გასული სეზონის შემდეგ აპირებდა ფეხბურთიდან წასვლას და სუნესის თხოვნით დარჩა, ახლა სუნესი კვლავ ითხოვს, შენ თუ წახვედი, ყველაფერი დაგვენგრევაო.

შირერი 35 წლისაა და კვლავაც ძალიან კარგად თამაშობს ფეხბურთს.

ფეხბურთის გარდა, ეტყობა მას აქვს რაღაც სხვა, „ნიუკასლისთვის" სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა და მენეჯერი თვალნათლივ ხედავს, რომ „ჯორდების" საყვარელი ფეხბურთელის წასვლა, მისთვის ახალი გუნდის შექმნას ნიშნავს. ეს კი, ძალიან ძნელი იქნება.

თავად უარზეა.

ყველამ ვიცით, ვინ არის ალან შირერი.

ძველიც გვახსოვს და ახალიც. ის ძალიან, ძალიან, ძალიან მაგარი ფეხბურთელია. ამ ასაკის ცენტრფორვარდები, ძალიან მაგრები რომ იყვნენ, ფეხებდაჩეხილები სხვადან ტრიბუნებზე, სენდვიჩებს ჭამენ და უმცროსების თამაშს უყურებენ, თანაც, ტელევიზიებს გადაუგდებენ ხოლმე ერთი-ორ სიტყვას. შირა კი თამაშობს და პირდაპირ რომ ვთქვათ, გუნდს მიათრევს.

ათას რამეს ჰყვებიან მის შესახებ, როგორც ვერაგ, ეშმაკ ფეხბურთელზე, მაგრამ ათჯერ მეტს, როგორც დიდ ფეხბურთელზე.

ჰოდა, შირა უარზეა.

ჭკვიანურად ამბობს: ჩემს ასაკშიო, მოთამაშეს უფლება არა აქვს, თვეში ერთხელაც კი ცუდი თამაში გამოუშვასო, არადა, ცუდი და კარგი თამაში შენზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ასაკზეო.

ჰოდა, ამიტომაც, წავალო.

მოკლედ, ბოლო სეზონი აქვს.

თუ ვინმესთვის გიყურებია შაბათ-კვირის ფეხბურთი კაცს ჩვენს ტელეარხებზე, იმათში ერთ-ერთი მობერებული შირაც იყო. მართლა საოცარი ფეხბურთელი თავისი ზარბაზანა ფეხებით და ფოლადის თავით. ჰოდა, ნეტავ, ერთი შირა ჩვენც გვყოლოდა. ეთრია ჩვენი გუნდი სანამ ფეხზე იდგა, ერთგულად და მაგრა, ზურგზე მოკიდებული...

მადრიდის „რეალის“ საპატიო პრეზიდენტი, ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანო შაბათ დილით გულის შეტევით ვალენსიის „საგუნტოს“ ჰოსპიტალში დაანწვინეს. 79 წლის დი სტეფანო ვალენსიაში იმყოფებოდა სტუმრად თავის ქალიშვილთან, როცა თავი შეუძლოდ იგრძნო. ექიმების დიაგნოზი მძიმე იყო — მწვავე მიოკარდიული ინფარქტი

დი სტეფანო საავადმყოფოშია

მისი გული მსოფლიოს სტკივა

„პაციენტის მდგომარეობა თავიდან რთული გახლდათ, თუმც ექიმთა დროულმა ჩარევამ ვითარება გამოასწორა და ალფრედო დი სტეფანოც სავარაუდოდ, მომჯობინებას მოახერხებს“ — განუცხადა საავადმყოფოში მისულ ჟურნალისტებს ვიქტორია ლაკუევამ, დონ ალფრედოს მკურნალმა ექიმმა. თუმც სენიორა ვიქტორიას თქმით, „საგუნტოს“ მედიკოსებს 48 საათი კიდევ სჭირდებათ, რათა მის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მოვლენათა განვითარებას დააკვირდნენ და სათანადო დასკვნა გამოიტანონ.

„მოხარული ვარ, რომ ალფრედოს, ავადმყოფობის მიუხედავად, ძველებურად გაუტეხავს ვხედავ. ამ ამბის გაგებისთანავე დაუყოვნებლივ ჩავედი ვალენსიაში და ჰოსპიტალში მოვინახულე. აქეთ მანუგეშა, მითხრა, რომ ცხოვრებას ფილოსოფიურად უნდა შეეხედო“ — აღნიშნა მედიასთან საუბარში ფლორენტინო პერესმა, მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა.

საავადმყოფოში ალფრედო დი სტეფანო „რეალის“ ვიცე-პრეზიდენტმა ემილიო ბუტრაგენიომ, სპორტულმა დირექტორმა ბენიტო ფლორომ, საფეხბურთო კლუბ „ვალენსიას“ პრეზიდენტმა ხუან სოლერმა და, რა თქმა უნდა, უამრავმა ჟურნალისტებმაც ინახულეს.

„ხალხმრავლობის გამო ჰოსპიტალში ნორმალური მუშაობა შეუძლებელი იყო. ამიტომაც იძულებული ვიყავი, ფლორენტინო პერესისთვის და მისი თანმხლები პირებისთვის მეთხოვა, საავადმყოფო დაეტოვებინათ. ავადმყოფის ოჯახის წევრთა ნებასურვილიც ასეთი იყო“ — თქვა დოქტორმა ვიქტორია ლაკუევამ.

ალფრედო დი სტეფანო 1926 წელს დაიბადა ბუენოს აირესში და მისი საფეხბურთო კარიერაც იქაურ „სპორტივო ბარაკასში“ დაიწყო. 15 წლისა „რივერ პლეიტში“ მივიდა, სადაც ძირითად გუნდში პირველი მატჩი 1943-ში ჩაატარა. არგენტინის ჩემპიონატში თავის გამოჩენის შემდეგ დის სტეფანომ კარიერა კოლუმბიურ „მილიონარიოსში“ განაგრძო, იქიდან კი მადრიდის „რეალში“, მისი დიდების გუნდში.

1953 წლიდან მოყოლებული, დონ ალფრედომ „სამეფო კლუბთან“ ერთად უამრავი ჯილდო, მათ შორის ევროპის ხუთი ჩემპიონთა თასი და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო.

„ახლა სრულიად საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ვალენსიასკენ არის მიპყრობილი. ალფრედო უფრო მეტია, ვიდრე თუნდაც ერთი ლეგენდარული მოთამაშე. უბრალოდ, იგი თავად არის ფეხბურთი“ — ეს სიტყვები წარსულში „რეალის“ კიდევ ერთ ჩაუქს, ამჟამად ვიცე-პრეზიდენტ ემილიო ბუტრაგენიოს ეკუთვნის.

ლადო ხომერიკი

რეალი მარჯვნიდან ისისინეს

25 წლის ბრაზილიელი სისინიო, „სან პაულუს“ აწ უკვე ყოფილი მარჯვენა მცველი, ამიერიდან მადრიდის „რეალში“ ითამაშებს.

ოკეანისგაღმელი უკანახაზელის და გალაქტიკური კლუბის წინასწარი შეთანხმების შესახებ კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი, თუმც შაბათს „რეალის“ უფროსობამ სისინოს შეძენის ამბავი ოფიციალურად გამოაცხადა. მადრიდელებმა ბრაზილიელში 10 მილიონი ევრო გადაიხადეს, სისინიო ესპანურ გრანდში ხუთი წლის მანძილზე ითამაშებს. რას ნიშნავს სისინიოს „რეალში“ გადასვლა? იმას, რომ მობერებულ მიჩელ სალგადოს კიდევ ერთი კონკურენტი გამოუჩნდა — შეგახსენებთ, რომ გუნდში კიდევ არის ორი მარჯვენა მცველი, ურუგვაელი კარლოს დიოგო და მწვრთნელთაგან ათვალწუნებული ოსკარ მინიამბრესი. ამ უკანასკნელს კი საავარაუდოდ, იანვარში ახალი გუნდის ძებნა მოუწევს.

სისინიომ ცოტა ხნის წინ კლუბთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. მისმა აწ უკვე ყოფილმა „სან პაულუმ“ ფინალში ინგლისური „ლივერპული“ დაამარცხა. ბრაზილიელი „რეალში“ არაევროკავშირელის სტატუსით არ იქნება — იტალიური წარმომავლობა დაუმტკიცებია და ორმაგი მოქალაქეობით არის „შეიარაღებული“. ბრაზილიის ბოლო ჩემპიონატში მან 9 ბურთი გაიტანა.

ლადო ხომერიკი

რომელია საფრანგეთის დედაქალაქი?

ლიმა იტალიური ფეხბურთის შესახებ



მოგეხსენებათ, ბრაზილიელი ნახევარმცველი ფრანსისკო ლიმა ვინც არის. დიახ, ის გახლავთ ფაბიო კაპელოს დროინდელი „რომას“ ძირითადი შემადგენლობის ერთ-ერთი მუდმივი წევრი, რომელიც შემდეგ, ბედმა მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადააგდო, მაგრამ ქვემოთ მის ბიოგრაფიაზე კი არა, სერია A-ს შესახებ მის შეხედულებებზე მოგითხრობთ. უფრო ზუსტად, ბრაზილიელი ნახევარმცველი პასუხს გასცემს იმ ათ სტერეოტიპულ შეკითხვას, რომელიც იტალიის ჩემპიონატთან დაკავშირებით უჩნდებათ არაიტალიელ, მათ შორის ქართველ გულშემატკივრებს

მართალია, რომ სერია A-ს ფეხბურთელები მსოფლიოში ყველაზე დიდ დროს ატარებენ სარკესთან?

შესაძლებელია, რადგან მათ უამრავ კომპლიმენტს ეუბნებიან, მსოფლიოს მასშტაბის, მათ შორის ყველაზე სიპათიურ მამაკაცთა ტიტულებსაც ანიჭებენ. ასეთ პირობებში ვარსკვლავური სენი იოლად შეიძლება შეეყაროს ადამიანს.

მართალია, რომ ინგლისელი ფეხბურთელები სერია A-ში ფეხს იმიტომ ვერ იკიდებენ, რომ პატიოსანი ხალხია?

მოდით, ინგლისის ჩემპიონატის ნებისმიერი მატჩი ვნახოთ — იქაური მოთამაშეები ხომ ერთმანეთს, არც მეტი, არც ნაკლები, ასახიჩრებენ. თამაში ისე არ მთავრდება, ვინმე მოტეხილი ფეხით ან გაბზარული თავით არ გაიყვანონ მოედნიდან. ასეთი უხეშობის გამო იტალიაში მსაჯები ფეხბურთელებს მოედნიდან აძევებენ, ინგლისში კი თითქოს ვერც ხედავენ, რა ხდება. და თქვენ ამას ფეხბურთს ეძახით? ცხადია, ყველა ქვეყანას რაღაც თავისებურება აქვს, მაგრამ ფეხბურთი უპირველეს ყოვლისა თამაშია.

მართალია, რომ უდიდეს საფეხბურთო ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდი სტადიონები იტალიაშია?

არა. იტალიაში ბევრი მითამაშია და მენდეთ, იქ ბევრი მშვენიერი მოედანია. „სან სირო“, „სტადიო ოლიმპიკო“ და სხვები მუდმივად ჩინებულ მდგომარეობაშია. ისე კი, ბევრი რამ კლუბის ბიუჯეტზეა დამოკიდებული. „ასკოლის“ და „რეჯინას“, მაგალითად, რუსეთის დონის მოედნები აქვთ. მოკლედ, რაც უფრო მდიდარია კლუბი, მით უფრო კარგია მოედანი.

მართალია, რომ ფრანჩესკო ტოტიმ არ იცის საფრანგეთის დედაქალაქი?

მგონი იცის. საფრანგეთის დედაქალაქი პარიზია, ხომ? მგონი ეს ტოტიმაც იცის. პრესაში ფეხბურთელებს ხანდახან ცუდად წარმოაჩენენ ხოლმე, რადგან ასე აწყობთ. რა გითხრათ, „რომაში“ რომ ვთამაშობდი, ფრანჩესკო ტოტი ჩემთვის ისეთივე ნორმალური ადამიანი იყო, როგორც ბევრი სხვა.

მართალია, რომ სერია A მსოფლიოში ყველაზე მოსაწყენი სანახაობაა?

პირველად მესმის. იქ როგორ უნდა მოიწყინო კაცმა. ხომ ხედავთ, გუნდები რა ტემპით კოტრდებიან და როგორ ისვრიან მათ ქვედა ლიგებში. სერიოზულად კი, სერია A ძალიან მაღალი დონის შეჯიბრებაა. იქ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ და მოედანზე მუდამ მაღალი დონის ბრძოლაა. მე თუ მკითხავთ, ფეხბურთელი, რომელიც სერია A-ში ივარგებს, მერე დედამიწის ნებისმიერ გუნდში შეძლებს თამაშს.

მართალია, რომ იტალიაში ძალიან ბევრი ჩაწყობილი თამაშია?

სამწუხაროდ, მართალია. ბოლო დროს ტელევიზიით და პრესითაც ბევრს ლაპარაკობენ ამაზე. პროცენტულ მაჩვენებელს ვერ გეტყვით, მაგრამ ბევრია.

მართალია, რომ პიერლუიჯი კოლინა ვარსკვლავი გარეგნობის გამო გახდა?

მისი პოპულარობა მარტო გარეგნობით კი არა, ქარიზმითაა განპირობებული, თუმცა უპირველეს ყოვლისა, კოლინა თავისი საქმის დიდი პროფესიონალია. ის ჯერ პირველი კლასის მსაჯად აღიარეს და მერე გადაიღეს რეკლამებში.

მართალია, რომ იტალიურ ფეხბურთს „იუვენტუსის“ შეფი მოჯი და „მილანის“ შეფი გალიანი მართავენ?

ცხადია, ორივე ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. მოჯი, გარდა იმისა, რომ „იუვენტუსის“ გენერალური დირექტორია, GEA-ს შეფია, რაც იტალიურ ფეხბურთში დიდი თანამდებობაა. გალიანმ კი ამ ცოტა ხნის წინ ფეხბურთის ფედერაციაში თანამდებობა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტობის გამო დატოვა. ერთი სიტყვით, დღეს მოჯი უფრო დიდი ფიგურაა.

მართალია, რომ სერია A-ს კლუბებმა სამოდელო სააგენტოებთან ხელშეკრულება გააფორმეს და მის თანახმად ფეხბურთელები მეგობარ გოგონებს ირჩევენ?

მართალია, რომ იტალიაში ბევრ ფეხბურთელს ლამაზი ცოლი ან მეგობარი ჰყავს, მაგალითად ტოტის, ინძაგის, ვიერის, მაგრამ კონტრაქტი აქ არაფერ შუაშია. გულს ვერ უბრძანებ.

მართალია, რომ იტალიელ მეკარეებს ამდენი ქება არ ერგებათ, მათი კარგი თამაში კი სინამდვილეში მცველთა მაღალი დონის დამსახურებაა?

ტყუილია. სერია A-ში არიან მეკარეები, რომელთაც გუნდის გადარჩენა ცუდი დაცვის დროს, მარტოც შეუძლიათ. თანამედროვე მსოფლიოს საუკეთესო მეკარეები ბუფონი და დიდა არიან და ორივე იტალიაში თამაშობს.

პაპუნა კედია

სარბიელი & კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ინგლისი. პრემიერლიგა
26 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:45	1	ჩარლტონი-არსენალი	5.20	3.40	1.65	2.05	1.25	1.11
17:00	2	ჩელსი-ფულემი	1.20	5.50	13.00	1.00	1.09	3.86
17:00	3	ჩელსი-ფულემი 0:1	1.50	4.70	4.00			
17:00	4	ტოტენჰემი-ბირმინგემი	1.50	3.60	6.50	1.05	1.21	2.31
17:00	5	ტოტენჰემი-ბირმინგემი 0:1	2.20	3.40	2.50			
19:00	6	უიგანი-სიტი	2.40	3.20	2.75	1.37	1.28	1.47
19:00	7	მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი	1.20	5.30	15.00	1.00	1.11	3.91
19:00	8	მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი 0:1	1.50	4.70	4.00			
19:00	9	პორტსმუთი-ვესტ ჰემი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
19:00	10	მიდლსბრო-ბლეკბერნი	2.05	3.20	3.45	1.24	1.28	1.66
19:00	11	ლივერპული-ნიუკასლი	1.60	3.40	5.80	1.08	1.25	2.14
19:00	13	სანდერლენდი-ბოლტონი	3.80	3.30	1.90	1.76	1.26	1.20
21:15	14	ასტონ ვილა-ეკერტონი	2.15	3.10	3.30	1.26	1.30	1.59

ინგლისი. ჩემპიონატი
26 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:00	50	უოტფორდი-საუთჰემპტონი	2.25	3.20	2.95	1.32	1.27	1.53
17:00	51	კარდიფი-პლიმუთი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
17:00	52	ბრაიტონი-ქარ	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
17:30	53	პრესტონი-უენსდი	1.60	3.50	5.30	1.09	1.22	2.10
19:00	54	ვულვერჰემპტონი-რედინგი	2.55	3.20	2.50	1.41	1.26	1.40
19:00	55	ბარნლი-სტოკი	2.10	3.00	3.20	1.23	1.26	1.54
19:00	56	იფსვიჩი-კრისტალ პალასი	2.40	3.20	2.65	1.37	1.25	1.44
19:00	57	ქრიუ-ჰალი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
19:00	58	დერბი-ლუტონი	2.15	3.20	3.10	1.28	1.26	1.57
19:00	59	ლესტერი-მილუოლი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
19:00	60	შეფილდი-ნორვიჩი	1.70	3.30	4.60	1.12	1.24	1.92
19:00	61	ლიდსი-ქოვენთრი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90

ინგლისი. I ლიგა
26 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:30	97	როტერჰემი-ჰადერსფილდი	2.75	3.20	2.35	1.47	1.26	1.35
17:00	98	ბრენტფორდი-სუონსი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
17:00	99	ოლდემი-ბრედფორდი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
17:00	100	ჯილინგემი-ბრისტოლი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
19:00	101	სკანთორპი-ჩესტერფილდი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:00	102	სუინდონი-კოლჩესტერი	2.75	3.20	2.25	1.47	1.23	1.32
19:00	103	ნოტინგემი-დონკასტერი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
19:00	104	ბარნსლი-ჰარტლპული	1.80	3.20	4.30	1.15	1.26	1.83
19:00	105	უოლსოლი-ტრანმერი	1.80	3.40	3.80	1.17	1.22	1.79
19:00	106	საუთენდი-დონსი	1.75	3.40	4.20	1.15	1.23	1.87
19:00	107	პორტ ვეილი-ბლეკპული	1.95	3.20	3.55	1.21	1.25	1.68

ინგლისი. II ლიგა
26 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
17:00	144	ბარნეტი-პიტერბრო	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
17:00	145	კარლაილი-დარლინგტონი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
17:00	146	ლეიტონი-რაშდენი	1.70	3.40	4.50	1.13	1.23	1.93
19:00	147	როვერსი-შრიუსბერი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	148	მაკლსფილდი-სტოკპორტი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
19:00	149	ტორკი-უიკომბი	3.50	3.20	2.00	1.67	1.27	1.23
19:00	150	ბერი-გრიმსბი	2.65	3.20	2.40	1.44	1.25	1.37
19:00	151	ნორთჰემპტონი-მენსფილდი	1.70	3.30	4.60	1.12	1.24	1.92
19:00	152	ოქსფორდი-ნოტსი	2.35	3.20	2.70	1.35	1.25	1.46
19:00	153	რექსემი-როჩდეილი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
19:00	154	ლინკოლნი-ბოსტონი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
19:00	155	ჩელტენემი-ჩესტერი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52

ინგლისი. კონფერენსი
26 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16:00	191	კემბრიჯი-სტივენეიჯი	2.35	3.30	2.55	1.37	1.22	1.43
17:00	192	იორკი-სკარბორო	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
17:00	193	გრეივსენდი-დაგ ენდ რედი	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
19:00	194	ფორესტ გრინი-ჰერეფორდი	2.95	3.30	2.10	1.55	1.22	1.28
19:00	195	საუთპორტი-მორიკომბი	3.10	3.30	2.05	1.59	1.23	1.26
19:00	196	ჰალიფაქსი-აკრინგტონი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
18:00	197	ექსეტერი-ალდერშოტი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
19:00	198	კიდერმინსტერი-ალტრინჩემი	1.95	3.30	3.30	1.22	1.22	1.64
19:00	199	ტემუორთი-ბარტონი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
19:00	200	უოკინგი-ქროული	1.80	3.40	3.80	1.17	1.22	1.79
		27 დეკემბერი						
17:00	201	გრეისი-კონვი	1.60	3.30	5.20	1.07	1.22	2.01

შოტლანდია
პრემიერლიგა
26 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	223	მოზერუელი-აბერდინი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
19:00	224	კილმარნოკი-დანდი იუნ.	1.70	3.20	4.50	1.11	1.23	1.87
19:00	225	ჰართსი-ფოლკირკი	1.35	4.00	8.00	1.00	1.15	2.66
19:00	227	ინვერნესი-ჰიბერნიანი	2.90	3.20	2.20	1.52	1.25	1.30
19:00	228	სელტიკი-ლივინგსტონი	1.15	6.00	13.00	1.00	1.05	4.10
19:00	230	დანფერმლაინი-რეინჯერსი	7.00	4.00	1.35	2.54	1.13	1.00

შოტლანდია. I დივიზიონი
26 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	238	ქუინი-სტ.მირენი	5.00	3.80	1.50	2.15	1.15	1.07
18:00	239	ბრეჩინი-კლაიდი	5.50	4.00	1.45	2.31	1.14	1.06
18:00	240	დანდი-ერდრი	1.80	3.40	3.50	1.17	1.18	1.72
19:00	241	სტ.ჯონსტონი-როსი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
19:00	242	სტრანრარი-ჰამილტონი	3.60	3.30	1.80	1.72	1.20	1.16

შოტლანდია. II დივიზიონი
26 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18:00	253	პარტიკი-სტირლინგი	2.00	3.40	3.00	1.25	1.20	1.59
19:00	254	მორტონი-რეითი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
19:00	255	ეარი-დამბარტონი	2.00	3.40	3.00	1.25	1.20	1.59

შოტლანდია. III დივიზიონი
26 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19:00	264	ალბიონი-არბროთი	2.65	3.40	2.20	1.48	1.20	1.33
19:00	265	ისტ ფაიფი-ბერიკი	2.65	3.40	2.25	1.48	1.21	1.35
19:00	266	ისტ სტირლინგი-კუოდენბითი	6.70	4.00	1.35	2.50	1.12	1.00
19:00	267	ელგინი-მონტროზი	2.35	3.40	2.40	1.38	1.18	1.40
19:00	268	ქუინზ პარკი-სტენჰაუზმური	3.70	3.40	1.75	1.77	1.18	1.15

ჰოლანდია
I დივიზიონი
26 დეკემბერი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15:30	277	უტრეხტი-სპარტა	1.55	3.50	5.80	1.07	1.22	2.18
15:30	278	ფეიენოორდი-ალკმაარი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
17:30	279	ნაიმეგენი-პსვ	3.80	3.30	1.80	1.76	1.22	1.16
19:30	280	ტვენტე-როხენდალი	1.40	3.90	6.50	1.03	1.15	2.43
		27 დეკემბერი						
21:00	281	ვალვაიკი-ჰერენვენი	2.10	3.30	3.00	1.28	1.23	1.57
21:00	282	როდა-დენ ჰააგი	1.70	3.40	4.60	1.13	1.24	1.95
22:30	283	ვიტესი-ბრედა	1.85	3.30	3.80	1.18	1.24	1.76
23:00	284	აიაქსი-გრონინგენი	1.35	4.30	7.50	1.02	1.14	2.73

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოკეი. შვედეთი						
		27 დეკემბერი						
22:00	406	ლინჩიოპინგი-ბრიუნესი	1.35	4.80	5.30	1.05	1.07	2.51
22:00	407	ლეკსანდი-ლულეო	2.30	4.30	2.05	1.49	1.08	1.38
22:00	408	ფრიოლუნდა-ტიმრე	1.35	4.80	5.30	1.05	1.07	2.51
22:00	409	სიოდერტელიე-ფერიესტადი	2.60	4.40	1.90	1.63	1.09	1.32
22:00	410	იურგორდენი-ჰვ 71	2.65	4.50	1.85	1.66	1.08	1.31
		28 დეკემბერი						
22:00	411	მორა-მოდო	2.10	4.50	2.25	1.43	1.08	1.50
		ჰოკეი. ფინეთი						
		27 დეკემბერი						
20:30	421	პელიკანსი-ჰაამეენლინა	3.75	4.40	1.55	2.02	1.09	1.14
20:30	422	კერპეტი-იოკერიტ	1.60	4.30	3.50	1.16	1.09	1.92
20:30	423	ტურკუ-ესპოო	2.10	4.20	2.30	1.39	1.09	1.48
20:30	424	ჰელსინკი-ტაპარა	2.10	4.20	2.30	1.39	1.09	1.48
20:30	425	ლუკო-სეიპა	1.85	4.20	2.60	1.28	1.08	1.60
20:30	426	იუვესკულე-ესტი	1.85	4.20	2.65	1.28	1.08	1.62
20:30	427	ილვესი-კალპა	1.45	4.50	4.20	1.09	1.07	2.17
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		28 დეკემბერი						
20:00	439	ტრუინეკი-სლავია	2.50	4.20	1.85	1.56	1.06	1.28
20:00	440	ვსეტინი-ვიტკოვიცე	3.20	4.30	1.65	1.83	1.08	1.19
20:30	441	ლიტვინოვი-ბუდეიოვიცე	1.90	4.20	2.50	1.30	1.07	1.56
20:30	442	კლადნო-ზნოიმო	2.15	4.00	2.30	1.39	1.11	1.46
21:00	443	პარდუბიცე-პლზენი	1.70	4.30	3.00	1.21	1.08	1.76
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		27 დეკემბერი						
20:00	451	მარტინი-ტრენჩინი	2.60	4.00	1.80	1.57	1.06	1.24
20:00	452	სკალიცა-ზვოლენი	2.15	4.00	2.30	1.39	1.11	1.46
20:00	453	კოშიცე-პოპრადი	2.00	4.00	2.30	1.33	1.06	1.46
20:00	454	მიკულაში-ნიტრა	2.50	4.00	1.85	1.53	1.06	1.26
21:30	455	სლოვანი-ჟილინა	1.70	4.20	3.00	1.21	1.08	1.75

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოკეი. გერმანია						
		26 დეკემბერი						
17:30	461	ჰამბურგი-დუისბურგი	1.40	4.60	4.00	1.07	1.03	2.13
17:30	462	ფრანკფურტი-კიოლნი	2.00	4.30	2.20	1.36	1.04	1.45
21:30	463	ინგოლშტადტი-დიუსელდორფი	1.75	4.30	2.80	1.24	1.07	1.69
21:30	464	მანჰაიმი-ჰანოვერი	1.80	4.30	2.65	1.26	1.07	1.63
21:30	465	ნიურნბერგი-აუსბურგი	1.40	4.60	4.00	1.07	1.03	2.13
21:30	466	კრეფელდი-იზერლონი	1.60	4.50	3.30	1.18	1.07	1.90
		ჰოკეი. მხ კანადაში (20)						
		26 დეკემბერი						
23:45	486	ფინეთი-კანადა	6.50	5.00	1.15	2.82	1.00	1.00
23:45	487	ლატვია-ჩეხეთი	10.00	6.00	1.06	3.75	1.00	1.00
23:45	488	შვედეთი-რუსეთი	3.00	4.70	1.55	1.83	1.02	1.16
23:45	489	აშშ-ნორვეგია	1.03	8.50	10.00	1.00	1.00	4.59
		კალათბურთი. იტალია						
		28 დეკემბერი						
23:30	550	ბენეტონი-ვარეზე	1.20	12.00	3.30	1.09	1.00	2.58
23:30	551	როხეტო-აველინო	1.30	12.00	2.85	1.17	1.00	2.30
23:30	552	მილანი-უდინე	1.20	12.00	3.30	1.09	1.00	2.58
23:30	553	ბოლონია-ორლანდო	1.10	12.00	5.50	1.00	1.00	3.77
23:30	554	ლივორნო-სიენა	2.40	12.00	1.40	2.00	1.00	1.25
23:30	555	ნაპოლი-კალაბრია	1.25	12.00	3.50	1.13	1.00	2.70
23:30	556	რომა-კანტუ	1.20	12.00	3.30	1.09	1.00	2.58
23:30	557	ბიპოპი-ვ.ბოლონია	1.80	12.00	1.80	1.56	1.00	1.56
23:30	558	ბიელა-ტერამო	1.30	12.00	2.85	1.17	1.00	2.30
		კალათბურთი. ესპანეთი						
		27 დეკემბერი						
23:15	568	ბარსელონა-ხირონა	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
23:30	569	ბილბაო-ხუვენტუდი	2.30	12.00	1.55	1.93	1.00	1.37
23:30	570	რეალი-ვალენსია	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
23:45	571	ვალიადოლიდი-ესტუდიანტესი	1.80	12.00	1.85	1.56	1.00	1.60
23:45	572	ფუენლაბრადა-მანრესა	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
23:45	573	უნიკახა-აუნაკბლე	1.30	12.00	3.00	1.17	1.00	2.40
23:45	575	მენორკა-ბრეოგანი	1.60	12.00	2.20	1.41	1.00	1.85

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	ჩარლტონი-არსენალი	5.40	2.10	2.00	1.51	1.45	1.02
10002	ჩელსი-ფულემი	1.35	2.60	7.00	1.00	1.13	1.89
10004	ტოტენჰემი-ბირმინგემი	1.90	2.20	5.50	1.01	1.41	1.57
10006	უიგანი-სიტი	2.85	2.00	3.10	1.17	1.48	1.21
10007	მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი	1.30	2.80	7.00	1.00	1.09	2.00
10009	პორტსმუთი-ვესტ ჰემი	2.80	2.00	3.20	1.16	1.49	1.23
10010	მიდლსბრო-ბლეკბერნი	2.45	2.00	3.75	1.10	1.48	1.30
10011	ლივერპული-ნიუკასლი	2.00	2.10	6.00	1.02	1.50	1.55
10013	სანდერლენდი-ბოლტონი	4.60	2.00	2.20	1.39	1.48	1.04
10014	ასტონ ვილა-ევერტონი	2.50	2.00	3.70	1.11	1.49	1.29

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	ჩარლტონი-არსენალი	7.00	10.00	20.00	8.50	4.40	3.50	20.00	10.00	2.30
11002	ჩელსი-ფულემი	1.40	15.00	35.00	3.50	5.00	14.00	20.00	12.00	12.00
11004	ტოტენჰემი-ბირმინგემი	2.30	10.00	20.00	3.50	4.60	9.00	20.00	10.00	8.00
11006	უიგანი-სიტი	3.60	10.00	20.00	4.60	4.40	4.80	20.00	10.00	4.00
11007	მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი	1.40	15.00	30.00	3.50	5.00	11.00	20.00	11.00	11.00
11009	პორტსმუთი-ვესტ ჰემი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11010	მიდლსბრო-ბლეკბერნი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11011	ლივერპული-ნიუკასლი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11013	სანდერლენდი-ბოლტონი	6.50	10.00	20.00	7.50	4.40	3.60	20.00	10.00	2.60
11014	ასტონ ვილა-ევერტონი	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.50	20.00	10.00	5.00

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		კი	არა
12001	ჩარლტონი-არსენალი	1.90	1.70
12002	ჩელსი-ფულემი	1.90	1.70
12004	ტოტენჰემი-ბირმინგემი	1.70	1.90
12006	უიგანი-სიტი	1.70	1.90
12007	მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი	2.00	1.60
12009	პორტსმუთი-ვესტ ჰემი	1.70	1.90
12010	მიდლსბრო-ბლეკბერნი	1.70	1.90
12011	ლივერპული-ნიუკასლი	1.70	1.90
12013	სანდერლენდი-ბოლტონი	1.70	1.90
12014	ასტონ ვილა-ევერტონი	1.70	1.90

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13001	ჩარლტონი-არსენალი	1.70	1.90
13002	ჩელსი-ფულემი	2.00	1.60
13004	ტოტენჰემი-ბირმინგემი	1.70	1.90
13006	უიგანი-სიტი	1.70	1.90
13007	მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი	2.00	1.60
13009	პორტსმუთი-ვესტ ჰემი	1.70	1.90
13010	მიდლსბრო-ბლეკბერნი	1.70	1.90
13011	ლივერპული-ნიუკასლი	1.70	1.90
13013	სანდერლენდი-ბოლტონი	1.70	1.90
13014	ასტონ ვილა-ევერტონი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება ჩათვლილია)

14001	ჩარლტონი-არსენალი	2.40	1.40
14004	ტოტენჰემი-ბირმინგემი	1.30	2.50
14006	უიგანი-სიტი	1.80	1.90
14009	პორტსმუთი-ვესტ ჰემი	1.80	2.00
14010	მიდლსბრო-ბლეკბერნი	1.70	2.20
14011	ლივერპული-ნიუკასლი	1.30	2.50
14013	სანდერლენდი-ბოლტონი	2.30	1.60
14014	ასტონ ვილა-ევერტონი	1.70	2.10

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	ჩარლტონი-არსენალი	3.00	2.80	2.00
15002	ჩელსი-ფულემი	3.00	2.80	2.00
15004	ტოტენჰემი-ბირმინგემი	3.00	2.80	2.00
15006	უიგანი-სიტი	3.00	2.80	2.00
15007	მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი	3.00	2.80	2.00
15009	პორტსმუთი-ვესტ ჰემი	3.00	2.80	2.00
15010	მიდლსბრო-ბლეკბერნი	3.00	2.80	2.00
15011	ლივერპული-ნიუკასლი	3.00	2.80	2.00
15013	სანდერლენდი-ბოლტონი	3.00	2.80	2.00
15014	ასტონ ვილა-ევერტონი	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16001	ჩარლტონი-არსენალი	3.20	1.25
16004	ტოტენჰემი-ბირმინგემი	1.20	3.30
16006	უიგანი-სიტი	1.60	1.90
16009	პორტსმუთი-ვესტ ჰემი	1.55	1.95
16010	მიდლსბრო-ბლეკბერნი	1.40	2.30
16011	ლივერპული-ნიუკასლი	1.20	3.40
16013	სანდერლენდი-ბოლტონი	2.85	1.35
16014	ასტონ ვილა-ევერტონი	1.45	2.35

გოლი:ფქვილი-10უ კენტი-2 (0:0 ითვლება ფქვილად)

17001	ჩარლტონი-არსენალი	1.85	1.95
17002	ჩელსი-ფულემი	1.85	1.95
17004	ტოტენჰემი-ბირმინგემი	1.85	1.95
17006	უიგანი-სიტი	1.85	1.95
17007	მანჩესტერი-ვესტ ბრომვიჩი	1.85	1.95
17009	პორტსმუთი-ვესტ ჰემი	1.85	1.95
17010	მიდლსბრო-ბლეკბერნი	1.85	1.95
17011	ლივერპული-ნიუკასლი	1.85	1.95
17013	სანდერლენდი-ბოლტონი	1.85	1.95
17014	ასტონ ვილა-ევერტონი	1.85	1.95

ჯერჯერობით ზურაბ ზვიადაურს ტრავმა გასაქანს არ აძლევს

ევროპა სათუოა

ზვიადაურს მკურნალობა გაეწელა

საერთაშორისო ტურნირებისთვის სამზადისს ქართველი ძიუდოისტები ივნისის პირველივე რიცხვებიდან მთის შეკრებით დაიწყებენ, ნაკრების ლიდერი ზურაბ ზვიადაური კი გუნდს მოგვიანებით, დაახლოებით 2-3 თვეში შეუერთდება.

ახლახან გაუწყეთ, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს ჩემპიონატის ორგზის მეორე პრიზიორმა მოსკოვში მუხლის ოპერაცია გაიკეთა. პირველი ცნობებით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და თბილისში დაბრუნებულ ზვიადაურს ინდივიდუალური ვარჯიშები დღედღეზე უნდა დაეწყო, მაგრამ...

„ზურაბმა რეაბილიტაციის ინტენსიური კურსი 19 დეკემბერს დაიწყო — გვითხრა გუშინ საქართველოს ოლიმპიური გუნდის მთავარმა ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა — სამწუხაროდ, ოპერაციის შემდეგ გამოჩნდა, რომ საქმე არც ისე იოლადაა, როგორც თავიდან გვეგონა. ხრტილი მთლიანად მოცვეთილია და მის აღსადგენად სერიოზული მკურნალობაა საჭირო“.

ზვიადაურს უკვე სამკურნალო გეგმაც შეუდგინეს და პირადი ექიმებიც დაუნიშნეს — თეა ადამია და გიორგი ლომიძე.

„ყოველდღიურ მკაცრ რეჟიმში შედის: ცურვა, მასაჟი, კუნთის სტიმულაცია, ულტრაბგერები და ფონოფორეზი — განაგრძობს კახაბრიშვილი — დიდი მადლობა ფირმა „ეი-ბი-სი“-ს, რომელმაც ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო მალამო „დიპრილითი“ გადმოგვცა, თან იმდენი, ძიუდოს, ძალოსნობისა და მოჭიდავეთა ნაკრებებს ერთად რომ ეყოფათ. 27 დეკემბერს დავით ტატიშვილის კლინიკაში ულტრასონოგრაფიას გადაუღებენ და სარეაბილიტაციო ციკლის პირველი ეტაპის შედეგსაც შევიტყობთ. სავარაუდოდ, ამის მერე რესპუბლიკურ საავადმყოფოში, გიორგი ლომიძის ზედამხედველობით, ტრენაჟორებზე ვარჯიშსაც შეუდგება. თავიდან ძირითადად ხელებს დატვირთავს, რაც ფორმის აღდგენაში მნიშვნელოვანწილად დაეხმარება. ტატამზე კი ალბათ ორ თვეზე ადრე არ შევუშვებთ, მანამდე გაცილებით ადრე ტკივილებიც რომ გაუყუჩდეს და სურათმაც კარგი შედეგი აჩვენოს. გარდა იმისა, რომ ზვიადაურის მკურნალობას ვხელმძღვანელობ, მისი მეგობარი და გულშემატკივარიც ვარ. სრულიად გაუმართლებელი იქნება, თუ ევროპის ჩემპიონატამდე (მაისში) მის ფორმაში ჩადგომას მოვითხოვთ. გაუაზრებელმა ნაბიჯმა შეიძლება დამღუპველ შედეგამდე მიგვიყვანოს. წინასწარი გათვლითა და გეგმაზომიერი სამზადისით მაისამდე ზურაბმა კიმანოც უნდა ჩაიცვას, მაგრამ იქნება თუ არა საევროპოდ მზად, ამას მწვრთნელები გადაწყვეტენ“.

ზურაბ კახაბრიშვილი

ოთარ მაღლაკელიძე

რეგულარული ჩემპიონატი

საშობაო ზღაპრის ვარიანტები და სანგა კლაუსის საჩუქრები

ორდღიან საშობაო არდადეგებზე წასვლის წინ ლიგამ უაღრესად შინარსიანი თამაშებით გაგვახარა. 14 მატჩში მაყურებლებმა ყველაფერი იხილეს, რითაც მიიზიდა წლეულს ისინი ეროვნულმა ლიგამ: უხვგოლიანობა, დამაინტრიგებელი სიუჟეტები, ბულიტების სერიები და საშობაო სასწაულებიც კი

23 დეკემბერი

ნიუ ჯერსი 0:1 ატლანტა

0:0 0:1 0:0

0:1 ჰოსა (30)

ატლანტელ მეკარე მაიკ გარნეტის ჯეელობის კერპი სახელოვანი ნიუჯერსელი კოლეგა მარტინ ბროდო გახლდათ. შობის წინა დღეს გარნეტს სწორედ ბროდოს წინააღმდეგ თამაშის შანსი მიეცა და საუცხოოდაც იასპარეზა — 29 მოგერიების ხარჯზე კარიერაში პირველი შათაუტიც კი მიითვალა.

„საოცრებაა. ის ხომ ჩემი ბავშვური სიზმრების გმირი იყო და არასდროს მიფიქრია, რომ ოდესმე მას მოვუგებდი“ — თქვა სასწაულით გაოცებულმა გარნეტმა მატჩის შემდეგ.

ვაშინგტონი 4:2 მონრეალი

0:1 0:0 4:1

0:1 ზედნიკი (5), 1:1 ბირონი (43), 2:1 ზუბრუსი (45), 2:2 ბეგინი (47), 3:2 პეტინგერი (53), 4:2 ოვეჩკინი (54)

ვაშინგტონელ ალექსანდრ ოვეჩკინს ზღაპრების ნაკლებად სჯერა და სულ რაღაც სამ თვეში გატანილ 20 შაიბას აინუნშიც არ აგდებს. ამბობს, კარგად ვერ მოიწადინე, თორემ აქამდე უფრო მეტი გოლი უნდა დამეგროვებინაო.

„თუნდაც ეს თამაში ავიღოთ. უამრავი შანსი მქონდა და მეტი ოსტატობა რომ გამომეჩინა, 20 კი არა, 22 გოლი მექნებოდა“ — დაგვეთანხმებით, შესაშური მიზანსწრაფვაა 20 წლის ჰოკეისტისთვის.

ჩიკაგო 2:3 დეტროიტი

1:0 1:0 0:2 0:1

1:0 არნასონი (20), 2:0 ლაპოინტი (35), 2:1 დრეიპერი (60), 2:2 ლიდსტრიომი (60), 2:3 დაციუკი (65)

ესეც საშობაო ზღაპრის სხვა ვარიანტი. ძირითადი დროის დასრულებამდე 38 წამით ადრე „დეტროიტი“ ჯერ კიდევ 0:2 აგებდა, მაგრამ მეკარე კრის ოსგუდის მეექვსე მოთამაშეზე შეცვლამ მოულოდნელად უდიდესი ნაყოფი გამოიღო. ჯერ კრის დრეიპერმა, შემდეგ კი ნიკლას ლიდსტრიომმა ორი ზუსტი დარტყმით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა, დამატებითი დროის დასრულებამდე ერთი (!) წამით ადრე კი პაველ დაციუკმა გამარჯვება მოუტანა სტუმრებს.

„სასწაული გოლები გავიტანეთ. ეფიქრობ, სამივე შაიბა სანტა კლაუსის საჩუქარი იყო, უფრო სწორად, ჩემი თოვლის ბაბუასი“ — იხუმრა ნამატჩევს რუსმა.

ვანკუვერი 5:6 კალგარი

0:0 2:2 3:3 0:0 0:1

გულიტების სერიაში

0:1 კობასიუ (25), 1:1 რუუტუ (26), 1:2 საიმონი (37), 2:2 ნესლუნდი (39), 3:2 კარტერი (42), 3:3 რაინპრეხტი (43), 3:4 რაინპრეხტი (44), ალენი (48), 4:5 იგინლა (49), 5:5 ნესლუნდი (58), 5:6 გადამწყვეტი ბულიტი: ამონტე

კაროლინა 4:3 ფლორიდა

1:1 1:1 2:1

1:0 კალენი (15), 1:1 იოკინენი (16), 1:2 რობერტსი (21), 2:2 სტაალი (25), 3:2 უილიამსი (50), 4:2 ბრინდამორი (53), 4:3 იოკინენი (59)

ჰენრიკ ზეტერბერგმა (შუაში) და მისმა „დეტროიტმა“ ჩიკაგოში ოვერტაიმში იმარჯვეს

ინანებთ, რომ ოლიმპიადაზე არ წამიყვანეთ — ამიერიდან კაროლინელი ერიკ სტაალი ყველა თამაშს ამ დევიზით ჩაატარებს.

მოგეხსენებათ, წლეულს ჩინებულად მოასპარეზე ახალგაზრდა ბოლო მომენტში ამოიღეს კანადის ნაკრების სიიდან და სათადარიგოებში გადაიყვანეს. გარემოებამ თითქოს გაარმაგა სტაალის ძალები. წლის ფორვარდი (გოლი და პასი) ამჯერადაც საუკეთესო იყო თავის გუნდში.

აღსანიშნავია, რომ 52-ე წუთამდე მასპინძლებს 14-ჯერ ჰქონდათ რიცხვმრავლობა, მაგრამ ერთხელაც ვერ გამოიყენეს. მე-15 ცდისას სტაალმა ზუსტი პასით როდ ბრინდამორი ახეირა და განამტკიცა კლუბის პირველი ადგილი თავის დივიზიონში.

პიტსბურგი 4:5 ფილადელფია

0:2 2:1 2:2

0:1 განიე (6), 0:2 ფორსბერგი (12), 0:3 ზაიდენბერგი (24), 1:3 სუროვი (31), 2:3 კრისტენსენი (36), 3:3 კროსბი (42), 4:3 კროსბი (43), 4:4 ფორსბერგი (56), 4:5 კნუბლი (57)

ტამპა 1:4 ბუფალო

1:1 0:2 0:1

1:0 პროსპალი (3), 1:1 ვანეკი (7), 1:2 დრური (27), 1:3 ტალინდერი (31), 1:4 კოტალიკი (58)

მინესოტა 5:3 კოლორადო

0:1 2:0 3:2

0:1 ბრიუნეტი (1), 1:1 ველიო (26), 2:1 ბერნსი (33), 2:2 ლაქსონენი (51), 3:2 უაიტი (55), 4:2 გაბორიკი (56), 4:3 სვატოში (56), 5:3 მ. შუინარი (60)

დალასი 2:3 ფინიქსი

0:1 0:0 2:2

0:1 რიჩი (18), 1:1 მოროუ (44), 2:1 ოტი (51), 2:2 დუნი (54), 2:3 სკაჩარდი (55)

ედმონტონი 5:3 ლოს ანჯელესი

1:1 1:2 3:0

0:1 ნორსტრიომი (3), 1:1 სტოლი (11), 2:1 პრონგერი (22), 2:2 კამალერი (30), 2:3 კონროი (36), 3:3 ტორესი (49), 4:3 ჰემსკი (54), 5:3 ჰეკა (60)

სან ხოსე 1:1 სენტ ლუისი

0:0 0:0 1:1 0:0 0:1

გულიტების სერიაში

0:1 რ. ჯონსონი (50), 1:1 ეკმანი (59), 1:2 გადამწყვეტი ბულიტი: ჩაიანეკი

ტორონტო 2:1 ბოსტონი

0:0 1:1 1:0

0:1 სამსონოვი (25), 1:1 ტაკერი (29), 2:1 მაკეიბი (48)

კოლუმბუსი 4:5 ნეშვილი

2:4 1:1 1:0

0:1 ჰარტნელი (5), 1:1 ბალაშტიკი (12), 1:2 აშმოლი (12), 2:2 ვესტკოტი (13), 2:3 ფიდლერი (15), 2:4 ბერო (20), 2:5 ჰოლი (36), 3:5 ბალაშტიკი (38), 4:5 ჩიმერა (55)

აილენდერსი 2:4 ოტავა

0:3 1:1 1:0

0:1 ივზი (6), 0:2 ხარა (7), 0:3 მესაროში (8), 1:3 ბლეიკი (23), 1:4 ჰიტლი (37), 2:4 ბერიში (46)

ესეც რუსების „ჯამანდა“

როგორც წინა „სარბიელში“ ვწერდით, რუსებმა ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობის დასახელება ტრადიციისამებრ ბოლო მომენტისთვის შემოინახეს.

შეგახსენებთ, რომ სიის გამოცხადების ვადა 23 დეკემბერს იწურებოდა და პარასკევს რუსებმა გამხილეს საიდუმლო.

გუნდში მხოლოდ 4 ჰოკეისტია ისეთი, რომელიც ნჰლ-ში არ თამაშობს. სხვა წლებისგან განსხვავებით, არც ერთ რუსს არ განუცხადებია უარი ოლიმპიადიში მონაწილეობაზე, რასაც ნაკრების გენერალური მენეჯერის პოსტზე დანიშნული პაველ ბურეს დამსახურებად მიიჩნევენ. გამონაკლისს მხოლოდ სერგეი ფიოდოროვი და სერგეი ზუბოვი წარმოადგენენ, თუმც მათი მოხვედრა სიაში ისედაც საეჭვო იყო დიდი კონკურენციის გამო.

მეკარეები: ნიკოლაი ხაბიბულინი („ჩიკაგო“), ევგენი ნაბოკოვი („სან ხოსე“), ილია ბრიზგალოვი („ანაჰაიმი“);

მცველები: ანდრეი მარკოვი („მონრეალი“), დანილ მარკოვი („ფინიქსი“), სერგეი ვონგარი („პიტსბურგი“), ფიოდორ ტიუტინი („რეინჯერსი“), დმიტრი ბეკოვი („დინამო“, მოსკოვი), ალექსი ჟიტნიკი („აილენდერსი“), დარიუს კასპარაიტისი („რეინჯერსი“), ანტონ ვოლჩენკოვი („ოტავა“);

ფორვარდები: ილია კოვალჩუკი („ატლანტა“), ალექსეი იაშინი („აილენდერსი“), ალექსეი ჟამნოვი („ბოსტონი“), ვიქტორ კოზლოვი („ნიუ ჯერსი“), ევგენი მალკინი („მეტალურგი“, მაგნიტოგორსკი), მაქსიმ სუშინსკი, ალექსანდრ ხარიტონოვი (ორივე — „დინამო“, მოსკოვი), ალექსანდრო ოვეჩკინი („ვაშინგტონი“), მაქსიმ აფინოგენოვი („ბუფალო“), პაველ დაციუკი („დეტროიტი“), ალექსეი კოვალიოვი („მონრეალი“), ალექსანდრ ფროლოვი („ლოს ანჯელესი“).

სამგელ ღარიბიანი

ფაჩულია — ატლანტას ღუზა

მაიკ ვუდსონი: ზაზას გარეშე განწირულები ვიქნებოდით



ზაზა ფაჩულია ალენ აივერსონის დაფარებას ცდილობს

ფაჩულია დიდ წარმატებას აღწევს

სტატისტიკა ყველაფერზე კარგად მიუთითებს, ანუ რასაც ზაზა ფაჩულია ამ სეზონში აკეთებს, ყვირილით ნათქვამ ამ ფრაზას ჰგავს: აბა, შემომხედეთ.

ის მთელ ლიგას მეტოქის ფარზე მოხსნილ ბურთებში ლიდერობს. ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია მთლიან მოხსნებსა და ორმაგ დუბლებში.

თუკი ამ სეზონში რომელიმე ატლანტელი იმსახურებს ყურადღებას, პირველი რიგში ზაზა ფაჩულია, 21 წლისა და სამწლიანი ნბა-ს სტაჟის მქონე დამწყები (ხუთეულის წევრი). როგორც თავად ზაზა ამბობს, ეს მისთვის გასაკვირი არცაა. მან ორი ამოუცნობი სეზონი გაატარა „ორლანდოსა“ და „მილუოკიში“ სანამ „ატლანტაში“ ხუთეულის მოთამაშედ მივიდოდა. ახლა ის გუნდის ლიდერია მოხსნებსა (9,3) და ორმაგ დუბლებში (11) და მექულეობაშიც არ მოიკოჭლებს (11,5).

ის გუნდის ღუზასავითაა და არც ლიგის აღიარებულ ცენტრებს ჩამორჩება ბევრით. თუ მის პროგრესს გავითვალისწინებთ, ფაჩულია ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის პრიზის მოგების ერთ-ერთი კანდიდატია.

ფაჩულია ცოტა გაკვირვებული იყო, როცა მას „ატლანტამ“ ოთხწლიანი და 16-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა.

„ძნელია, როცა დრაფტის მეორე წრეში ხარ არჩეული — ამბობს ზაზა — ვიცი, საკუთარ თავზე გამოცადე, მედიას არ ანაღვლებს თუნდაც კარგად მოთამაშე მეორე რაუნდელი. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენს ჩააგდებ და რამდენ ორმაგ დუბლს გააკეთებ. გულსატკენია, რადგან ხედავ, რომ არავიზე ნაკლებად არ ვმუშაობ. თუმც ეს მეტ სტიმულს გაძლევს და მეხმარება, რათა დავამტკიცო, რომ დრაფტის მეორე რაუნდიდანაც შეიძლება, კარგი მოთამაშე გამოვიდეს. ამიტომაც არაფერს ვიშურებ და ძალიან მონდომებით ვვარჯიშობ“.

ფაჩულია 24 საამსეზონო მატჩიდან 23-ში სასტარტო ხუთეულში იყო. ის ისედაც სასტარტო იქნებოდა, მაგრამ რაც 15 ოქტომბერს ატლანტელთა ცენტრი ჯეისონ კოლიე გარდაიცვალა, მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა მეტი სათამაშო დრო გამოუყო.

„ფაჩულიას გარეშე ჩვენი გუნდი, ვფიქრობ, გაცილებით მეტ თამაშს წააგებდა — ამბობს ვუდსონი — ზაზა „ატლანტას“ უმნიშვნელოვანესი მოთამაშეა. ის ჯერ ახალგაზრდაა და ვფიქრობ, რაც დრო გავა, უფრო და უფრო მოუმატებს. იგი ძალიან ბეჯითად და დახვეწილად ირჯება. არ გაურბის შავი სამუშაოს შესრულებას. ფაჩულიამ უკვე ჩაყო ცხვირი ამ საქმეში და ფარქვეშა ბინძური ბრძოლებისთვის მზად უნდა იყოს. ნბა-ში ყოველთვის გამოინახება ადგილი ისეთი მებრძოლი მოთამაშეებისთვის, როგორიც ფაჩულიაა“.

ზაზა უკვე საკმაოდ გამოცდილია. მან პროფესიული კარიერა 15 წლისამ დაიწყო, როცა თურქეთის საუკეთესო კლუბმა, „ულქერმა“ საქართველოდან სტამბოლში წაიყვანა. თურქულ გუნდში ზაზამ 73 მატჩი ჩაატარა და მერეღა მოაკითხა ნბა-ს. ის შარშანწინდელ დრაფტზე 42-ე ნომრად აიყვანეს და „ორლანდოდან“ „შარლოტის“ გავლით შარშან „მილუოკიში“ მოეწყო. „ბაქსმა“ ის მხოლოდ დრაფტის მეორე რაუნდში არჩევნის უფლების სანაცვლოდ მიიღო „შარლოტისგან“, მაგრამ სათანადოდ ვერ შეაფასა მისი პოტენციალი და ახალი კონტრაქტი აღარ გაუფორმა. სამაგიეროდ, ფაჩულიას „ატლანტას“ ხელმძღვანელობა ენდო და გაუმართლა კიდეც.

„ხანდახან დგება მომენტი, როცა ვინმე დიდ ნდობას გამომიცხადებს — ამბობს ფაჩულია — „ატლანტას“ ხელმძღვანელობამ მე ეს დამანახვა და მეც ყველანაირად ვცდილობ, მაქსიმუმს ვაკეთებ. ნდობა პირველი რიგში ალბათ ასაკისა და განვითარების შესაძლებლობის გამო დავიმსახურე. ფაქტი სახეზეა, წილდან წლამდე თამაშის ხარისხს ვაუმჯობესებ. მე უკან არ ვიყურები და მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდები. შეგნებული მაქვს, რომ იოლად ამ ლიგაში არაფერი მომეცემა და მეც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევ წინ. ყველაფერი მხოლოდ მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად მოდის. მეც ამ გზაზე ვდგავარ.“

ზაზა და შაკი

ზაზა ფაჩულიამ საახალწლოდ ბრწყინვალე საჩუქარი გაუკეთა საკუთარ თავსა და გულშემატკივრებს. „ფილადელფიასთან“ მატჩში ზაზამ პირადსარეკორდო 23 ქულა მოიმკა და როგორც თვითმხილველები იტყობინებიან, პატარა ბავშვივით დაჩაგრა ნბა-ში მასზე არანაკლებ პერსპექტიულად მიჩნეული ცენტრი სამუელ დალამბერი. ამერიკული პრესა არც ამ რეკორდ-მატჩამდე აკლებდა ქებას ქართველ გოლიათს და „ფილადელფიასთან“ განავარდების შემდეგ სწორედაც რომ მოსალოდნელი იყო მასზე მორიგი სტატიის „გაშანშალება“. ჰოდა, იმავე საღამოს, რაც ზაზამ „ფილადელფიასთან“ იყოჩაღა, გაზეთ „ატლანტა ჯორნალ სენტინელის“ ვებგვერდზე წერილი გამოქვეყნდა სათაურით — „ფაჩულია დიდ წარმატებას აღწევს“, სადაც ჟურნალისტ სეკუ სმიტს ქართველი ცენტრი ლამის ზეცაში აჰყავს და მას ლიგის ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშის საპატიო პრიზის მოგების ერთ-ერთ კანდიდატად ასახელებს.

თუმც ისე არ იფიქროთ, რომ მხოლოდ „ფილადელფიასთან“ მატჩის შემდეგ აქებენ ფაჩულიას. ამ თამაშამდე ორიოდ დღით ადრე „ატლანტაზე“ მწერალმა ჟურნალისტმა, ჯონ კუპერმა ჩვენებურს არანაკლებ საქებარი სტატია მიუძღვნა. ქვემოთ ორივე მათგანს გთავაზობთ

ახლა კი 22 დეკემბრის სტატიას შემოგთავაზებთ, როცა ფაჩულიას „ფილადელფიასთან“ ჯერ არ ჰქონდა ნათამაშები, თუმც მას 10 დეკემბერს თვით ტიმ დანკანისთვის გაეცა ხელი, როცა „ატლანტამ“ მოქმედი ჩემპიონი „სან ანტონიო“ დაამარცხა.

მოგზაურობა

„ატლანტამ“ ბოლო ხუთ მატჩში ოთხჯერ იმარჯვა და ამ თამაშებში კარგად გამოჩნდა ის ძალა, რასაც მაიკ ვუდსონის გუნდი ეყრდნობოდა. ესა ძალაა ზაზა ფაჩულია, რომელიც ყველა მის ოპონენტს დიდ დისკომფორტს უქმნიდა.

განსაკუთრებით გამოსარჩევია მისი თამაში „სან ანტონიოსთან“ და ამ გუნდის ლიდერ ტიმ დანკანთან. იმ მატჩში ფაჩულიამ დაამტკიცა, რომ ნებისმიერ მეტოქესთან ბრძოლაში მისი გამძლეობა ამოუწურავია. მის წინაშე იდგა ლიგის საუკეთესო მოთამაშე, რომელიც ზაზამ მხოლოდ 12 ქულას დააჯერა, 14 ქულით ჩამორჩენილ „ატლანტას“ კი საბოლოოდ გაამარჯვებინა.

„მან იცის, რომ ლიგის ვარსკვლავებთან თანასწორად თამაში შეუძლია“ — ამბობს ზაზაზე „ატლანტას“ ასისტენტი მწვრთნელი გრეგ ბალარდი, რომელიც გუნდის მაღალ მოთამაშეებთან მუშაობს.

ის მხოლოდ 21 წლისაა და უკვე წარმატებით ჩაბარა გამოცდა მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშესთან. სანამ ევროპაში ეძებდა ფაჩულია ტიმ დანკანის თამაშს აკვირდებოდა და ამ კალათბურთელს ის ახლაც საუკეთესოდ მიიჩნევს.

„დანკანი, შაკი და იაო, აი, ეს სამი მოთამაშეა ნბა-ს და შესაბამისად მსოფლიოს საუკეთესო კალათბურთელი — აცხადებს ფაჩულია, რომელმაც იაო მინგისა და დანკანის წინააღმდეგ ამ სეზონში საშუალოდ 16 ქულა და 11 მოხსნა მოაგროვა — მათ წინააღმდეგ თამაში სახალისოა. უბრალოდ, მე ვთამაშობ იმას, რაც ვიცი, არავითარ ფსიქოლოგიურ ზეწოლას არ განვიცდი“.

გასულ ორ სეზონში ფაჩულია ჯამში 6 მატჩში იყო სასტარტო, ახლა კი უკვე ხუთეულის უცვლელი წევრია. მან ყველა სტატისტიკური მაჩვენებელი გააუმჯობესა ამ სეზონში, განსაკუთრებით კი მოხსნებში ყოჩაღობს. იგი მთელს ლიგაში მეთოთხმეტეა ამ მაჩვენებელში, ხოლო მეტოქის ფარზე მოხსნილი ბურთების ოდენობით ყველას უსწრებს. ის მთელი 10 ერთეულით სჯობნის დრაფტის მოწინავესა და მოხსნების ოსტატ ემეკა ოკაფორს, რომელსაც ზაზაზე ორი მატჩით მეტი აქვს ნათამაშები.

„ის ფანტასტიკურია — ფაჩულიას კვლავ ბალარდი აქებს — ზაზა ზუსტად არჩევს ფარქვეშ ადგილს და კალათიდან ასხლეტილი ბურთი ხშირ შემთხვევაში მისი ნადავლი ხდება. ის საოცრად ათლეტურია. მისი ზომის ადამიანის კვალობაზე ზაზა ძალიან, ძალიან კარგად ხსნის ბურთებს“.

„მე გამაჩნია იმის ინსტიქტი, რომ ფარიდან ასხლეტილი ბურთის მიმართულება გამოვიცნო — ამბობს ფაჩულია — ვერ დავხტივარ ისე კარგად, როგორც ჯოშ სმიტი, მაგრამ ეს ინსტიქტი მეხმარება ბურთების მოხსნაში. ვცდილობ, ფარქვეშ ძალიან აგრესიული ვიყო და ჩემი თანაგუნდელების ან ჩემი აცილებული ბურთები მოვიპოვო“.

„მჯერა, რომ ჩემს თანაგუნდელებს მიზანი არ ღალატობთ და, საბედნიეროდ, ისინი ხშირად ტყორცნიან ხოლმე ფარისკენ — ამას უკვე ღიმილით ამბობს ატლანტელთა ქართველი ცენტრი — თუმც ასპროცენტიანი სიზუსტით ვერავინ ტყორცნის, ვიღაცამ უნდა აცილოს და მე ერთგვარ დაზღვევას წარმოვადგენ ფარქვეშ.“

„თუ თქვენ გინახავთ ჩემი თამაში სადებიუტო სეზონში, დიდ განსხვავებას აღმოაჩენთ დღევანდელობასთან. ახლა გაცილებით დავიხვეწე ყველა კომპონენტში — დაცვაში, შეტევაში, მოხსნებსა თუ მექულეობაში“.

„ვფიქრობ, ზაზა მეპასეობაშიც გვარიანად დაიხვეწა — შეგირდს კვლავ ბალარდი აფასებს — დაცვაშიც მოუმატა, თუმც ხანდახან სწრაფი გადაადგილება უჭირს. მაგრამ მას აქვს იმის ნიჭი, რომ ზედმეტი მოძრაობით თავი არ გადაიღალოს, ფაჩულიამ ადგილის შერჩევა ზუსტად იცის და ამით ძალიან ბევრს იგებს. ის უნივერსალია, რასაც დაავალებ, ყველაფერს აკეთებს“.

როგორც ჩანს, „ატლანტა“ უკვე საკმარის ბარაქას იმკის ზაზა ფაჩულიასგან, ქართველი კი უმატებს და უმატებს...

ირაკლი პერტაია

23 დეკემბერი

ატლანტა 111:108 ფილადელფია

ატლანტა: აივი (2), ჯონსონი (24 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), სმიტი (8), ჰარინგტონი (22), ფაჩულია (37 წუთი, 23 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი, 1 ჩაჭრა); სტუდემაიერი (13), ლუ (11), ჩილდრესი (4), უილიამსი (2), ტომასი (2)

ფილადელფია: აივერსონი (53), იგუდალა (14), კორვერი (3), ვებერი (16 ქულა, 11 მოხსნა, 5 ჩაჭრა), დალემბერტი (12); სალმონსი (6), რენდოლფი (4), ბარნსი, უილიამსი

მინესოტა 83:91 პორტლენდი

მინესოტა: შჩერბიაკი (26), გარნეტი (24), იარჩჩი (12), ჰასელი (12)

ცქიტიშვილი განაცხადში არ იყო

პორტლენდი: პატერსონი (23), რენდოლფი (21 ქულა, 10 მოხსნა), დიქსონი (12)

ორლანდო 88:104 ლეიკერსი

ორლანდო: ფრენსისი (28), ჰილი (13)

ლეიკერსი: ბრაიანტი (21), ჰილი (20), ოდომი (18), პარკერი (16)

ნიუ იორკი 98:90 იუტა

ნიუ იორკი: კროუფორდი (28), მარბერი (22)

იუტა: გირიჩეკი (19), ჰარპრინგი (15), პალასიო (13)

შარლოტი 88:97 კლიპერსი

შარლოტი: ნაითი (21), ბრეუეცი (20), ბოგანსი (12)

კლიპერსი: ბრენდი (38 ქულა, 20 მოხსნა), კამანი (22 ქულა, 22 მოხსნა), კასელი (13)

მაიამი 88:95 ნიუ ჯერსი

მაიამი: ონილი (24 ქულა, 14 მოხსნა), ვეიდი (17)

ნიუ ჯერსი: კარტერი (51), კიდი (12)

დეტროიტი 97:85 გოლდენ სტეიტი

დეტროიტი: ჰამილტონი (28), რ. ვოლესი (19), ბ. ვოლესი (15 ქულა, 14 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: დიოგუ (27), დევისი (14 ქულა, 10 მოხსნა), რიჩარდსონი (14)

კლივლენდი 94:89 ინდიანა

კლივლენდი: გუდენი (21 ქულა, 14 მოხსნა), ჰიუზი (18), მარშალი (17), ილგაუსკასი (17), ჯეიმსი (14 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი)

ინდიანა: ონილი (34 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება), ტინსლი (15), ჯონსი (15)

მემფისი 95:77 ჩიკაგო

მემფისი: მილერი (27 ქულა, 10 მოხსნა), გასოლი (19 ქულა, 11 მოხსნა), ბეტიე (13)

ჩიკაგო: ნოჩიონი (14), სონგაილა (11)

მილუოკი: 101:94 ნიუ ორლეანი

მილუოკი: რედი (36), ბოგუტი (14), ფორდი (12)

ნიუ ორლეანი: ვესტი (27 ქულა, 18 მოხსნა), პოლი (24)

სან ანტონიო 95:90 ტორონტო

სან ანტონიო: დანკანი (27 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), პარკერი (13), ნესტეროვიჩი (12)

ტორონტო: როუზი (19), ბოში (18), ჯეიმსი (14), ბონერი (13)

დენვერი 108:86 ჰიუსტონი

დენვერი: ენტონი (25), მილერი (19), კემბი (12 ქულა, 16 მოხსნა, 4 დაფარება)

ჰიუსტონი: ჰოვარდი (18), მაკგრეიდი (17)

ფინიქსი 111:112 ვაშინგტონი

ფინიქსი: ნეში (27), ტომასი (18), ჯონსი (18), ბელი (15)

ვაშინგტონი: არენასი (41), ბატლერი (26), ჯემისონი (22 ქულა, 13 მოხსნა)

სიეტლი 98:101 დალასი

სიეტლი: რადმანოვიჩი (20), ალენი (19), ლუისი (16 ქულა, 12 მოხსნა)

დალასი: ნოვიცკი (34 ქულა, 13 მოხსნა, 7 პასი), ჰოვარდი (20), ტერი (19)

შეიძლება დაუსრულებლად იდავო იმის თაობაზე, ქათამი ადრე

NBA რეგულარული ჩემპიონატი

ხარისხის ძალა

ფაჩულიას 23 აივერსონის 53-ს სჯობია



ამ ფოტომ არ მოგატყუოთ, ვინს კარტერს შაილ ონილისა რომ შინებოდა, 51 ქულას ნამდვილად ვერ გააკეთებდა

გაჩნდა თუ კვერცხი, ნირვანა უფრო ძვლების დამყრელია თუ მეტალიკა, როკი ჯობია თუ რეპი, კიდევ ათას სისულელეზე და საბოლოოდ შეთანხმებასაც ვერ მიაღწიო, მაგრამ კარგა ხანია, კაცობრიობა შეთანხმდა ერთ ჭეშმარიტებაზე: ხარისხი სჯობია რაოდენობას. ეს აქსიომა ამერიკაშიც „ამართლებს" და თანამედროვე ნბა-ს უდავოდ ყველაზე უხვქულიანმა მოთამაშემ ალენ აივერსონმა, ვინ მოთვლის, მერამდენედ იწვნია ხარისხის „ძალა". აივერსონი ნბა-ს ოთხგზის ბომბარდირია და თუ კობი ბრაიანტმა არ შეუშალა ხელი, ამ სეზონის ბოლოს მეხუთედაც მოიხვეჭს ამ ტიტულს, მაგრამ მართალი ვთქვათ, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს მისი გუნდის თამაშის ხარისხიანობისთვის.

„ფილადელფია" დაახლოებით იმდენივეს იგებს, რამდენსაც აგებს და 2001 წელს პლეი ოფის ფინალში წაგების შემდეგ შიშის ზარსაც ვეღარ სცემს ასოციაციის „მშვიდობიან" მოსახლეობას.

პარასკევს საღამოს ჭინკა ფილადელფიელმა 53 ქულა ჩაუგდო „ატლანტას", მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, ეს არ გამოდგა მისი გუნდის გამარჯვების გარანტი.

„ატლანტამ" ზედიზედ მეოთხე შინაური და სულ ბოლო შვიდ მატჩში მეხუთე ქოიგო და ამ გამარჯვებაში გვარიანი წილი უდევს „ქორების" [illegible] ფეფარეს, ჯორჯიელმა [illegible] ცენტრ ზაზა ფაჩულიას, რომელმაც თავის ნბა-ურ კარიერაში საუკეთესო მატჩი ჩაატარა — ჩააგდო სარეკორდოდ ბევრი, 23 ქულა და 2 ქულით გადაამეტა ძველ პირად რეკორდს, რომელიც 17 ნოემბერს „დალასთან" დაამყარა. ამასთან, ზაზას 23 ქულა ავტომატურად გახლავთ ზოგადქართული რეკორდიც.

შეგახსენებთ, რომ არც ვლადიმერ სტეფანიას და არც ნიკოლოზ ცქიტიშვილს არასდროს დაუგროვებიათ ერთ მატჩში 20 ქულა.

ზაზას ქულები და საერთოდ, კარგი თამაში „ატლანტას" აივერსონის გუნდის დაჩოქებაში დაეხმარა.

„ჩვენ არ გვენანებოდა ერთმანეთისთვის ბურთის მიცემა — ამბობდა ფაჩულია ნამატჩევს — გუნდს 29 პასი დაუგროვდა და ჩვენი გამარჯვებაც ამან განაპირობა".

ფაჩულიამ პასები ახსენა და ესეც ვთქვათ: მან 23 ქულასთან ერთად 6 პასიც გაიღო თანაგუნდელებისთვის და ეს მისი იმ პირადი რეკორდის გამეორება გახლავთ, 10 ნოემბერს „კლიპერსთან" რომ დაამყარა.

მოკლედ, ფაჩულიამ და მისმა თანაგუნდელებმა ჯო ჯონსონის მეთაურობით და გუნდური თამაშის წყალობით ალენ აივერსონს სულ წყალში გადაუყარეს ის თავისი 53 ქულა, რაც ფილადელფიელისთვის სეზონში უმეტესი იყო. ჭინკა ალენის კარიერის რეკორდი კი — ბარემ ესეც ვთქვათ — 60 ქულა გახლავთ.

პარასკევს ბარაქიანი მოსავალი მოიმკა კიდევ ერთმა ჯადო მობურთალმა ვინს კარტერმა, ოღონდ, აივერსონისგან განსხვავებით, მისი ქულები გამარჯვების მომტანი გამოდგა. შაკილ ონილისა და დუეინ ვეიდის „მაიამისთან" რკენაში კარტერმა თავის „ნიუ ჯერსის" 51 ქულა მიაშველა და გოროზი მეტოქე წამოაქცევინა. ეს მისი პირადი რეკორდის გამეორებაა. ამ 51 ქულიდან კარტერმა 37 მეორე ნახევარში „კატრინასავით" დაატეხა ფლორიდელებს და „ნიუ ჯერსის" ზედიზედ მეხუთედ მოაგებინა.

კოტე ყორშია

ვლადიმერ ბოისა: მე ვარ სლოვენიელი, მაშასადამე ევროკავშირელი

ვლადიმერ ბოისა ევროკავშირელია. გუშინ საქართველოს ნაკრებისა და იტალიური „სიენას" ფორვარდმა სლოვენიის მოქალაქეობა მიიღო და ევროპაში უცხოელად აღარ ითვლება. ამიერიდან ბოისაზე აღარ გავრცელდება იტალიაში არაევროკავშირელებზე დაწესებული ლიმიტი და სერია A-ს მატჩების განაცხადშიც უპრობლემოდ მოხვდება.

ბოისა ამ ზაფხულს ელოდა სლოვენიის პასპორტს. საქმე თითქმის მოგვარებული იყო, მაგრამ რაკი მან ლიუბლიანის „ოლიმპია" დატოვა და იტალიაში გადაბარგდა, სლოვენიელმა მეპასპორტეებმა საქმე გაუჭიანურეს. მას მაინც ეკუთვნოდა ამ ქვეყნის მოქალაქეობა, რადგან ბოისას სლოვენიელი მეუღლე ჰყავს და ბოლო წლებში ლიუბლიანაში ცხოვრობდა.

ასე იყო თუ ისე, გუშინ ბოისამ სლოვენიის პასპორტი ჩაიბარა, რისთვისაც ლიუბლიანაში მოუწია ჩასვლა. იტალიისკენ უკანა გზაზე მას ვერც ერთი მესაზღვრე ვერ დააბრკოლებდა საბუთების გასასინჯად, როგორც ეს მაშინ ხდებოდა, როცა მას ქართული პასპორტი ჰქონდა. სხვათა შორის, ბოისა ხშირად ჩიოდა, ძალიან ბევრს ემოგზაურობ და ქართული პასპორტის გადამკიდე, მუდამ პრობლემები მექმნება საზღვრებზეო.

ჰოდა, ახლა ევროპის გზებზე და „სიენას" განაცხადში ბოისას მწვანე აენთო.

ირაკლი პერტაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე არ ითმენს!

ნარმოიდგინეთ ტელეფონი, რომელშიც ორგანულადაა მერწყმული ელეგანტური დიზაინი და განსაკუთრებული ფუნქციონალურობა. ტელეფონი, რომელშიც არის ყველაფერი საიმისოდ, რომ თავდაჯერებულად იგრძნოთ თავი ბიზნესის ხანაში. ტელეფონი ნამდვილად ნარმატებული ადამიანებისათვის. Samsung X700. ადვილი ნარმოსადგენია.

- 1.3 მეგაპიქსელიანი კამერა • ფერადი TFT ეკრანი (262 144 ფერი)
- სტერეოხმა • FM რადიო • MP3/ASC პლეერი • MPEG4 ვიდეოპლეერი
- მეხსიერების ბარათი TransFlash™ • 40 ტონური პოლიფონია
- bluetooth • EDGE

X700

Дело не ждет!

Представьте телефон, органично сочетающий элегантный дизайн и исключительную функциональность. Телефон, в котором есть все, чтобы Вы могли уверенно чувствовать себя в мире бизнеса. Телефон для действительно успешных людей. Samsung X700. Легко представить.

- 1.3-мегапиксельная камера • Цветной TFT-дисплей (262 144 цвета)
- Стереозвук • FM-радио • MP3 / AAC плеер • MPEG4 видеоплеер
- Карта памяти TransFlash™ • 40-тональная полифония
- Bluetooth • EDGE

ელიტ ელექტრონიქსი - კომპანია სამსუნგ ელექტრონიქსის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

ELIT ELECTRONICS

Elit Electronics – официальный дистрибьютор компании Samsung Electronics в Грузии

მარჯანიშვილის ქ. №47; ტელ: (822) 94 24 72
აღმაშენებლის გამ. №146; ტელ: (822) 96 28 67
ხიზანიშვილის ქ. №53; ტელ: (822) 35 69 95

Адреса магазинов: г. Тбилиси,
ул. Марджанишвили №47 / Тел: (822) 94 24 72
ул. Агмашенебели №146 / Тел: (822) 96 28 67
ул. Хизанишвили №53 / Тел: (822) 35 69 95

3-წლიანი უფასო სერვისული მომსახურება

3 года бесплатного сервисного обслуживания.

SAMSUNG
სამსუნგი

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია **http://www.sarbieli.com.ge**